პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 29-ე წელი

ორშაბათი, 8 აგვისტო, 1948 წ. № 157 (8201). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

კოლმეურნეობის თავმჯდომარე — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მოსხენება ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა (მე-3 გვერდი).
გიორგი ლეონიძე — სამგზარელები (მე-3 გვერდი).
ა. შატილოვი — საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

კოლმეურნეობის თავმჯდომარე

საკოლმეურნეო სოფელში აღიზარდნენ შესანიშნავი ხელმძღვანელი კადრები, რომელნიც ლენინ-სტალინის დიდი პარტიის საქმის ბოლშევიკური ერთგულნი არიან. ხელმძღვანელი კადრებს შორის სოფლად მნიშვნელოვანი ადგილი კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს უკავიათ. ეს კადრები კოლმეურნეობათა ოქროს ფონდია.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება, რომელიც საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონია, დიდ მოვალეობას აკისრებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მტკიცედ უნდა იდგეს კოლმეურნეობის წესდების დაცვის სადარაჯოზე. კოლმეურნეობის იმ თავმჯდომარეს აქვს დაფასება კოლმეურნეთა მასებში, რომელიც ენერგიულად იბრძვის პარტიისა და მთავრობის დირექტივების, კოლმეურნეობის თავმჯდომარე მტკიცედ უნდა იდგეს კოლმეურნეობის წესდების დაცვის სადარაჯოზე. კოლმეურნეობის იმ თავმჯდომარეს აქვს დაფასება კოლმეურნეთა მასებში, რომელიც ენერგიულად იბრძვის პარტიისა და მთავრობის დირექტივების, კოლმეურნეობის თავმჯდომარე მტკიცედ უნდა იდგეს კოლმეურნეობის ინტერესების დაცვის საქმეში.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფელში ბევრია ნიჭიერი, გამოცდილი და უხარიანი მუშაკი, რომელსაც კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტი უკავია. მთელ რესპუბლიკაში ცნობილია მაზარაძის რაიონის სოფელ შრომის ორკოლიკიძის სახელობის ორდენსახი კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობას სათავეში უდგას სოციალისტური შრომის გმირი ამხ. მ. ორაგველიძე, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლმეურნე მასებში. ყოველმხრივ განვითარებულ მძლავრ მეურნეობას წარმოადგენს მაზარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ვ. ჯაბეკა. ამ კოლმეურნეობის ფუძედი შემოსავალი შარშან 9.526.000 მანეთს შეადგენდა. ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის ტელასის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც თავმჯდომარედ მუშაობს სოციალისტური შრომის გმირი ამხ. გ. ნატროშვილი, წლითიწლობით ზრდის თავის ნატურალურ და ფულად შემოსავალს. კარაგდ უძღვებიან საკოლმეურნეო საქმეს ყვარლის რაიონის სოფელ ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ს. ბუჯიაშვილი და გალის რაიონის სოფელ ქვემობარლების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ვ. ბოჭორიშვილი.

ასეთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე მრავალი შეიძლება დავასახელოთ.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნაყოფიერ თოსნობას და ორგანიზატორულ უნარს იჩენდეს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისა და დაცვისათვის.

დიდია კოლმეურნეობის თავმჯდომარის უფფლება-მოვალეობანი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე პასუხს აგებს საწარმოო გეგმებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების გეგმების შესრულებისათვის, კოლმეურნეობის ფულადი სახსრებისა და პროდუქტების სწორად გამოყენებისათვის. კოლმეურნეობის ის თავმჯდომარე არის დაფასების ღირსი, რომელიც პირველ რიგში აყენებს სახელმწიფოს ინტერესებს, რაზმავს მასებს საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივი განვითარებისათვის და არაფერს იშურებს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად განხორციელებისათვის.

ჩვენი საბრძოლო ამოცანაა კოლმეურნეობათა შემდგომი სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება. ამ ამოცანის გადაჭრის მნიშვნელოვანი პირობა შრომის დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებაა. ამ საქმეში დიდი როლი აკისრია კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. ის ვალდებულია დაუფლებულად იზრუნოს შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის. კოლმეურნეთა დიდი უმრავლესობა პატიოსნად მუშაობს და ზრდის საკოლმეურნეო ფონდსს. სამწუხაროდ, არიან ისეთნიც, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ საკოლმეურნეო შრომაში. არ შეიძლება შეეწუხარით ზარმაცები და მექთახტრები, რომელნიც პატიოსნი კოლმეურნეების ხარჯზე ცხოვრობენ და არსებობად დიდ ზიანს აყენებენ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე არ უნდა გაურბოდეს ზარმაცებთან ბრძოლის საკითხის მწვავედ, ძალი სერიოზულობით დასმას. ან შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხები უნდა დაიყენოს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებებზე, ზარმაცები საჯაროდ უნდა გაკეკლუთოთ და მათ წინააღმდეგ გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით და საბჭოთა მთავრობის კანონებით გათვალისწინებული ღონისძიებანი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კოლმეურნე ბეჯითად მუშაობდეს კოლმეურნეობის დოვლათის გასამრავლებლად.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვალდებულია საფუძვლიანად დაეუფლოს მსხვილი კოლეტიური მეურნეობის ეკონომიკას. მაშინ ის ადვილად დასძლევს ყოველგვარ სიძნელეს ხელმძღვანელობის საკითხში. აუცილებლად საჭიროა თავმჯდომარემ კარგად იცოდეს საქმის თვალთვალი და ადამიანთა ცოდნა. ეკონომიკურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. თავმჯდომარეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭიროა მეტად იზრუნონ სოფლის მეურნეობის ორგანოებმა. წელს თბილისში კვალიფიკაცია აიმაღლა 60 კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. 60 ამხანაგი ახლაც გადის გადასამზადებელ კურსებს. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უფრო ორგანიზებულად უნდა მოაწყოს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უძნიშვნელოვანესი მოვალეობაა ზრუნვა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების აღსაზრდელად. არ შეიძლება შეეწუნაროთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების დენადობა, რასაც ზოგან ჯერ კიდევ აქვს ადგილი, მაგალითად მცხეთის რაიონში. საჭიროა ბოლომდე აღმოფხვრათ საკოლმეურნეო ხელმძღვანელი კადრების დენადობა. „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევითა ლიკვიდაციის ზმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილებაში ნათქვამია: „სასტიკი პასუხისმგებლობით აუკრძალოს პარტიის რაკომებს, რაისაბჭოებს და სამინუთმოქმედო ორგანოებს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების დანიშვნა თუ მოხსნა კოლმეურნეთა საერთო კრებების გვერდის ავლით“. ეს წესი მტკიცედ უნდა დაიცვაო.

გავეუფრთხილდეთ, დავეხმაროთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს მუშაობაში, აღვზრდოთ და გამოვაჭრეთოთ ისინი საკოლმეურნეო სოფლის ნამდვილ ბოლშევიკ ხელმძღვანელად.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★ ★

ახალი წისქვილ-ქარხნის მშენებლობა თბილისში

ერთი წლის წინათ თბილისში დაიწყო ახალი დიდი წისქვილ-ქარხნის მშენებლობა. ამჟამად მშენებლობა უკვე მთავრდება და პარალელურად სწარმოებს მოწყობილობათა მონტაჟი.

მთავარ კორპუსში ძიძიგურიოს მოსაპარკეთებელი სამუშაოები. მთავრდება სიფქვავი დანადგარების, ხორცლის მიმწოდებელი მექანიზმების, საცრხილეები, სანიავებელი და საცრული აპარატების გამართვა. დიაწყო დამონტაჟებულ დადგმულობათა გამოცდა.

თბილისის ეს ახალი წისქვილ-ქარხანა ერთ-ერთი მძლავრი საფქვავი საწარმოო იქნება საქართველოში. იგი დღეღამეში გადაამუშავებს 150 ტონაზე მეტ ხორცმოყოლს. წისქვილ-ქარხანა უნდა ამუშავდეს მეოთხე კვარტალში.

ახალგაზრდა ტექნიკოსები სკოლებს

„ახალგაზრდა“ წელს დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის უნდა გამოუშვას 91 სახელმძღვანელო. აქედან უკვე დამზადებულია 57 სახელმძღვანელო, 1 სექტემბრისათვის დამზადდება იქნება და ადგილებზე გაიგზავნება სულ 79 სახელმწიფოს სახელმძღვანელო ქართულ ენაზე.

„საბჭოთა“ უკვე მიიღო რუსეთიდან 78 სახელმწიფოს რამდენიმე მილიონი ეგზემპლარი სახელმძღვანელო რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა ენებზე, რაც უკვე დაიგზავნა ადგილებზე. ამასთან მიღებულია სასკოლო ნიივთები, საკალამო რეკულები, კალმისტრები, ფანქრები, სამელნეები და სხვა, რაც ბარეთვე დაეგზავნა რაიონების სკოლებს.

კოლმეურნეობები იძენენ პოლიციკურ და მხაჯვრულ ლიტერატურას

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობები იძენენ პოლიტიკურ და მხაჯვრულ ლიტერატურას. რაიონის 49 კოლმეურნეობამ წელს 366.000 მანეთის ლიტერატურა შეიძინა. მათ შორის 208.000 მანეთისა უკვე გაგზავნილია „სამწიგნიონ“ მიერ, ხოლო წლის ბოლომდე კიდევ დამატებით გაიგზავნება 158.000 მანეთის ლიტერატურა.

წოგნების შეძენის საქმეში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ახალი სოფლის, ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც ამ საქმისათვის 30.000 მანეთი გაიხადა, ორსანტიის გეგეკეკორის, ენახთის კომინტერნის, ცაიშის პირველი მაისის, ოუხის ბერიას, ორჯონიკიძის ორჯონიკიძის, ეკვენჯის ჩარკვიანისა და ახალი სოფლის კოლმეურნეობა.

ომის ინვალიდებისათვის ზრუნვა

ქარელის რაიონში სამამულო ომის ინვალიდების დასახმარებლად გასულ შეიდ თვეში ეპსილის სახით გაიცა 694.000 მანეთი, ხოლო ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის 1.100.000 მანეთი. ერთდროული დახმარების სახით გაიცემოდა 21.140 მანეთი და 2.260 კილოგრამი მარცვლეული.

ომის ინვალიდები მოწყობილი არიან შესაფერ სამუშაოებზე—კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად, მეცხოველეობის ფერმების გამგეებად, სარეწაო არტელებში. კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლებლებში ომის 18 ინვალიდი გაიგზავნა.

(„კომუნისტის“ კორ.)

ნაჩაჩინებულ სვანეთოველთა სანადარო მაჩვენებლები

9.867 საწოლი, 639 ტონა საშინაურსმანი, 1.473 სამაგიდო და სასაკოლო საუსრარი და მრავალი სხვა პროდუქცია გამოუშვა ხუთწლედის მეოსამე წლის გასულ 7 თვეში კალინინის სახელობის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც შეიდი თვის დავალება 106,3 პროცენტით შეასრულა. წინა წლებთან შედარებით ქარხანა წელს ასორტიმენტის მიხედვით გაეკრებით უკეთ ასრულებს დავალებას. თითქმის ყველა ძირითადი პროდუქციის გამოშვების გეგმა თვალსაჩინო გადაჭარბებით არის მეორეულებელი. შეიდ თვეში ქარხანამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 265.6 ათასი მანეთის პროდუქცია, საგრანმლოდ გადაიდგა შრომის ნაყოფიერება, 10,4 პროცენტით გადაჭარბება თვითღირებულების ეიფარეულდეგ შემცირებას და სახელმწიფოს ნახევარ წელიწადში მისცა 671 ათასი მანეთი დაგრიგება.

ᲓᲘᲓᲣᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲩᲠᲐᲛᲘᲡᲘᲜᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲝᲢᲝᲠᲘᲡ მიმდინარე წლის ზაფხულში თბილისის სპორტის ალმასკომის სათაბრო მასალათა ტრესტმა ადგილებზე უნდა დაამზადოს და თბილისში შემოზიდოს 71.500 კუბმეტრი ᲓᲘᲓᲘ. შეშის დამზადების გეგმა უკვე შესრულებულია 108 პროცენტით. დამზადება წარმატებით გრძელდება. რაიონებიდან თბილისში უკვე შემოზიდულია 45.000 კუბმეტრი შეშა—ნახევარი წლის გეგმა 64 პროცენტით არის შესრულებული.

შეშის დამზადებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ტრესტის „თბილისობრის“ წყრილის დამზადების განყოფილებამ, რომელმაც ნახევარი წლის გეგმა 151 პროცენტით შეასრულა, ფოთის განყოფილებამ—გეგმა შეასრულა 111 პროცენტით, ქვაღლნის განყოფილებამ—გეგმა შეასრულა 105 პროცენტით და სხვ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი—გორის კულტსახლის შეფი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი გორის კულტურის სახლის შეფია. ამასთან დაკავშირებით 6 აგვისტოს გორში ჩავიდნენ ქართველი მწერლები: შალვა დადიანი, გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, ლეო ქიაჩელი, ირაკლი აბაშიძე, აკაკი ბელიაშვილი, ლევან ასათიანი, რევაზ მარგიანი, გიორგი შატბერაშვილი და ნ. ჩაჩავა.

„კულტურის სახლში მიეწყო გორის მშრომელთა შეხვედრა ქართველ მწერლებთან. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ს. ჩიქოვანმა. მოხსენებით გამოვიდა ლევან ასათიანი. მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა შალვა დადიანმა. ნოველები წაიკითხა მწერალმა აკაკი ბელიაშვილმა.

შეხვედრაზე საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა გ. ტაბიძემ, ს. ჩიქოვანმა, გ. შატბერაშვილმა, რ. მარგიანმა, ირ. აბაშიძემ, ნ. ჩაჩავამ და გორელმა დამწყებმა პოეტმა ფირუზ ჯანაშვილმა.

(„კომუნისტის“ კორ.)

საბჭოთა მეურნეობა რთველის წინაღლეებში

აგვისტოს მეორე ნახევრიდან მუხრანის საბჭოთა მეურნეობაში რთველი დაწყებულა. პირველ რიგში დაიკრიფება პინოს ჯიშის ყურძენი, შემდეგ კი ალეგოტე და სხვები. ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 60 ცენტნერამდე მიაღწევს. მარტო პინოს ჯიშის ყურძენი დასაკრეფია 15 ჰექტარზე. საბჭოთა მეურნეობამ გეგმით 1,5 ტონა პინოს საუთარი მოსავლის ყურძენი უნდა დაამზადოს, კოლმეურნეობებიდან კი 200 ტონა ადრეული ყურძნის მიიუბა ეეგულება.

რთველის წარმატებით ჩატარებისათვის მეურნეობაში დამატებით შეძენილია საკრო ტარა, შეკეთებულია სარორკელე განყოფილება, მიმდინარეობს სარდაფის რემონტი, რაც 15 აგვისტოსათვის დამთავრდება.

15 აგვისტოდან საბჭოთა მეურნეობაში დაიწყება მსხლისა და ვაშლის კრეფა-დამზადება. პირველ რიგში დაიკრიფება ვილიამსის ჯიშის მსხალი. სულ გეგმით გათვალისწინებულია 100 ტონა მსხლისა და ვაშლის დამზადება, ფაქტიურად მოსავალი 150 ტონას მიაღწევს.

ᲒᲐᲠᲔᲜᲘᲠᲘᲐ 157.296 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

5 აგვისტოსათვის აღებული თავთავიანი კულტურების მოსავლიდან 91.593 ჰექტარის, ანუ გეგმის 101,8 პროცენტი კომბაინით არის გალეწილი, 65.703 ჰექტარისა კი — კვეთით. ლაწვა დამთავრებული სამარცვლიანი (ბალეწილ 746 ჰექტარის მოსავალი), წულეაკიძისა და ზეკატფოსნის რაიონებში.

წითელწყაროს რაიონში ლეწილ გეგმა 99,7 პროცენტით არის შესრულებული, სიღნაღის რაიონში — 94,4, ლაგოდეხის — 94, კაკრეთის — 83,9, ბურნალის — 74,1, სავანეკოს — 69,4, ყვარლის — 69,3, თბილისის — 66,4, მარნეულის — 63,9, ვანის — 63,6, თელავის — 62,8, ხაშურის — 62,3, ბოლნისის — 59, გარდაბნის — 56,8, ქუთაისის — 53,2, ქარელის — 56,3, ახმეტის რაიონში — 54,6 პროცენტით.

ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲠᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲐ

აგვისტოს პირველ ხუთდღიურში რესპუბლიკაში მოკრეფილია 854,2 ტონა ჩაის ფოთოლი. წლიური გეგმა შესრულებულია 61,5 პროცენტით, ხოლო აგვისტოსი — 6,1 პროცენტით.

ჩაის ფოთლის კრეფა აგვისტოს დავალება შესრულებულია ბათუმის რაიონში 6,2 პროცენტით, ქობულეთის — 12,1, გალის — 4,5, ოჩამჩირის — 3,9, ტყიბულის — 1,4, სოხუმის — 2, გუდაუთის — 2,2, ახაზაძის — 5, ჩოხატაურის — 8,1, ლანჩხუთის — 9,3 სამტრედიის — 4,5, წულეკიძის —4,6, ქუთაისის — 6,9, წყალტუბოს — 3,1, ტყიბულის — 13,7, ცხაკაიას — 1,6, აბაშის — 2,5, გეგეჭკორის — 6,8, ზუგდიდის — 7,5, წალენჯიხის — 0.3, ჩხოროწყუს — 5,4, ხობის — 4,4, ჩხარის რაიონში — 7,7 პროცენტით, ხოლო ზესტაფონის რაიონში აგვისტოს პირველ ხუთდღიურში ჩაის ფოთლის კრეფა არ უწარმოებიათ.

ახაზაძის რაიონის ცნობა არა სრულია.

ᲗᲐᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲯᲔᲮᲐ ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

5 აგვისტოსათვის საქართველოს კოლმეურნეობებში შეტეხილია 22.432.618 ზონარეტერი თამბაქო, აქედან აგვისტოს მარტო პირველ ხუთდღიურში თითქმის 7 მილიონამდე ზონარმეტერი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 18,3 პროცენტით.

წინაა ლაგოდეხის რაიონი, ნადაც გეგმა 40,9 პროცენტით არის შესრულებული.

აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში დავალება შესრულებულია 12,4 პროცენტით. აჭარის ასსრ რესპუბლიკაში — 6,6, ზუგდიდის რაიონში — 9, ჩოხატაურის — 4, სიღნაღის — 14,5, ყვარლის—30,8, მარნეულის—12,5, ბოლნისის რაიონში—14,1 პროცენტით.

ᲒᲖᲠᲐᲯᲐᲓ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲐ 8.966 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ

საქართველოს კოლმეურნეობებმა აგვისტოს პირველ ხუთდღიურში ბზრალდ მოხნეს 2.913 ჰექტარი, სულ ამჟამად მოხნულია 8.966 ჰექტარი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა მზრალად 218 ჰექტარი მოხნა, ბოგდანოვკის რაიონმა—1.937, ახალქალაქმა — 1.460, წალკის — 1.430, ხაშურის — 724, ალიგანის 83, ასპინძის — 232, ქარელის — 242, ბურნალის — 202, კაკრეთის — 253, ყვარლის — 303, ვარდანის — 549, სავანეკოს — 516, დმანისის რაიონმა — 544 ჰექტარი.

პურ—საახალწიფოს

საქართველოს მზრომელები აძლიერებენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას. აგვისტოს მარტო პირველ ხუთდღიურში დამზადებულია 4.000-მდე ტონა პური.

წითელწყაროს რაიონს წელს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული აქვს 7.083,4 ტონა პური, სიღნაღის რაიონს—4.727,8, მარნეულს — 3.188,1, თბილისის — 1.936,3, ლაგოდეხს — 1.829,1, ბოლნისს — 1.721, გორს — 1.262,9, თეთრი წყაროს — 1.171, ქარელს — 1.076,3, კაკრეთის — 1.107,8, ხაშურის — 549,8, სავანეკოს — 575,6, თელავს — 498,8, ახმეტის — 543,5, გარდაბნის რაიონს — 526,9 ტონა.

სახელმწიფოს მნიშვნელოვანი რაოდენობით ჩაბარეს პური აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა და აღიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, დმანისის, დუშეთის, მცხეთის და სხვა რაიონებმა.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დამტკიცდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარგზავნილი ზოგიერთი ქალაქის სახელწოდების ტრანსკრიპციის შესახებ. ამიერიდან დაიწერება ოჩამჩირე, ოჩემჩირის ნაცვლად;

გუდაუთა — გუდაუთის ნაცვლად;

რუსულ ენაზე დაწერილობის Гагра-ს ნაცვლად — Гагра.

გორის რაიონის კოლმეურნეები აჭარეულ პურს სახელმწიფოს.

ფოტო ალ. გიორგაძისა

აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მოხსენება

ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე

მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში

1. ბიოლოგიური მეცნიერება აგრონომიის საფუძველია

აგრონომიულ მეცნიერებას საქმე აქვს ცოცხალ სხეულებთან — მცენარეებთან, ცხოველებთან, მიკროორგანიზმებთან. ამიტომ აგრონომიის თეორიულ საფუძველში შედის ბიოლოგიურ კანონზომიერებათა ცოდნა. რაც უფრო ღრმად ხსნის ბიოლოგიური მეცნიერება სიცოცხლისა და ცოცხალი სხეულების განვითარების კანონზომიერებას, მით უფრო ქმედითია აგრონომიული მეცნიერება.

თავისი არსით აგრონომიული მეცნიერება განუყოფელია ბიოლოგიური მეცნიერებისაგან. აგრონომიის თეორიაზე ლაპარაკი ნიშნავს ლაპარაკს მცენარეთა, ცხოველთა, მიკროორგანიზმთა სიცოცხლისა და განვითარების გამომჟღავნებულ და შეცნობილ კანონზომიერებათა შესახებ.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიურ დონეს, — სიცოცხლისა და მცენარეთა და ცხოველთა ფორმების განვითარების კანონების შესახებ ბიოლოგიური მეცნიერების მდგომარეობას — ე. ი. უწინარეს ყოვლისა იმ მეცნიერებისა, რომელსაც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე გენეტიკას უწოდებენ.

2. ბიოლოგიის ისტორია იდეოლოგიური ბრძოლის ასპარეზია

დარვინის მოძღვრების გამოჩენამ, რომელიც მოცემულია მის წიგნში „სახეთა წარმოშობა", საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ბიოლოგიას.

დარვინის თეორიის წამყვან იდეას წარმოადგენს მოძღვრება ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევის შესახებ. ორგანიზმისათვის სასარგებლო ცვლილებათა შერჩევის გზით იქმნებოდა და იქმნება ის მიზანშეწონილობა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ცოცხალ ბუნებაში: ორგანიზმების აგებულებასა და ცხოვრების პირობებისადმი მათს შეგუებაში. დარვინმა თავისი შერჩევის თეორიით მოგვცა ცოცხალ ბუნებაში მიზანშეწონილობის რაციონალური ახსნა. მისი შერჩევის იდეა მეცნიერულია, სწორია. თავისი შინაარსით მოძღვრება შერჩევის შესახებ, ეს არის იმ მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა აღებული ზოგადი სახით, რომლებიც დარვინამდე დიდი ხნით ადრე ემპირიული გზით ჰქმნიდნენ მცენარეთა და ცხოველთა ჯიშებს.

შერჩევის შესახებ თავის მეცნიერულად სწორ მოძღვრებაში დარვინი პრაქტიკის პრიზმით განიხილავდა, ანალიზს უკეთებდა ნატურალისტების მიერ ცოცხალ ბუნებაში შემჩნეულ მრავალ ფაქტს. სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა დარვინისათვის გახდა ის მატერიალური საფუძველი, რომელზეც მან შეიმუშავა თავისი ევოლუციური თეორია, რომელმაც ახსნა ორგანული სამყაროს მოწყობის მიზანშეწონილობის ბუნებრივი მიზეზები. ეს იყო კაცობრიობის დიდი მონაპოვარი ცოცხალი ბუნების შესწავლაში.

ფ. ენგელსის შეფასებით, იმ პროცესების ურთიერთ კავშირის შეცნობა, რომლებიც ბუნებაში სწარმოებს, გიგანტური ნაბიჯით წავიდა წინ განსაკუთრებით სამი დიდი აღმოჩენის მეოხებით: ჯერ ერთი, უჯრედის აღმოჩენის მეოხებით, მეორე, ენერგიის გარდაქმნის აღმოჩენის მეოხებით და მესამე, „დარვინის მიერ პირველად წარმოდგენილი იმის დალაგებული დამტკიცების მეოხებით, რომ ახლა ჩვენს გარშემო მყოფი ორგანიზმები, ადამიანის ჩათვლით, წარმოიშვნენ თავდაპირველად ერთუჯრედიანი ჩანასახების განვითარების ხანგრძლივი პროცესის შედეგად, ხოლო ეს ჩანასახები, თავის მხრივ, შეიქმნენ ქიმიური გზით წარმოშობილი პროტოპლაზმისა ან ცილისაგან"[1].

დარვინის თეორიის მნიშვნელობის მაღალ შეფასებასთან ერთად მარქსიზმის კლასიკოსები აღნიშნავდნენ დარვინის მიერ დაშვებულ შეცდომებსაც. დარვინის თეორია, რომელიც თავის ძირითად ნაწილში უდავოდ მატერიალისტურია, შეიცავს მთელ რიგ არსებით შეცდომებს. მაგალითად, დიდი შეცდომაა ის, რომ დარვინმა თავის ევოლუციის თეორიაში, მატერიალისტურ საწყისთან ერთად, შეიტანა მალთუსის რეაქციული იდეები. ამ დიდ შეცდომას ჩვენს დროში აღრმავებენ რეაქციონერი ბიოლოგები.

თვით დარვინი აღნიშნავდა მის მიერ მალთუსის სქემის მიღებას. ამის შესახებ იგი თავის ავტობიოგრაფიაში სწერს:

„1838 წლის ოქტომბერში, ხუთმეტი თვის შემდეგ, რაც ჩემს სისტემატურ გამოკვლევას შევუდექი, თავის გასართობად წავიკითხე მალთუსის წიგნი „მოსახლეობის შესახებ". მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრებაზე ხანგრძლივი დაკვირვებით მომზადებულმა, მე შევაფასე არსებობისათვის ყველგან წარმოებული ბრძოლის მნიშვნელობა და უცბად გაოცებული დავრჩი იმ აზრით, რომ ასეთ პირობებში სასარგებლო ცვლილებები უნდა დარჩეს, ხოლო უსარგებლო მოისპოს. როგორც იქნა **მე ხელთ მქონდა თეორია, რომლის ხელმძღვანელობითაც შემეძლო განმეგრძო ჩემი შრომა...**"[2] (ხაზგასმულია ჩემს მიერ—ტ. ლ.).

ბევრისათვის დღემდე ცხადი არ არის დარვინის შეცდომა, რომელმაც თავის მოძღვრებაში გადაიტანა მალთუსის უგუნური რეაქციული სქემა მოსახლეობის შესახებ. ნამდვილმა მეცნიერმა ბიოლოგმა არ შეიძლება და არც უნდა აუაროს დუმილით გვერდი დარვინის მოძღვრების მცდარ მხარეებს.

[1] ფ. ენგელსი. ლუდვიგ ფეიერბახი. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIV. 1931 წ. გვ. 665-666.

[2] ჩ. დარვინი თხზ. ტ. I ლეპკოვსკის გამოც. 1907 წ. გვ. 31.

ბიოლოგები კვლავ და კვლავ უნდა ჩაუკვირდნენ ენგელსის სიტყვებს: „დარვინის მთელი მოძღვრება არსებობისათვის ბრძოლის შესახებ, ეს არის საზოგადოებიდან ცოცხალი ბუნების დარგში ჰობსის მოძღვრების უბრალო გადატანა იმის შესახებ, რომ ყველა ეომება ყველას, და ბურჟუაზიული ეკონომიური მოძღვრებისა კონკურენციის შესახებ მალთუსის მოსახლეობის თეორიასთან ერთად. ამ ფოკუსის გაკეთებით (რომლის უდავო სისწორე მე სადავოდ მიმაჩნია, როგორც უკვე აღნიშნული იყო პირველ პუნქტში, განსაკუთრებით მალთუსის თეორიის მიმართ) იგივე თეორიები კვლავ გადააქვთ ორგანული ბუნებიდან ისტორიაში და შემდეგ აცხადებენ, თითქოს დამტკიცებულია, რომ მათ ადამიანთა საზოგადოების მარადიული კანონების ძალა აქვთ. ამ პროცედურის გულუბრყვილობა **თვალში გეცემათ**, ამაზე არ ღირს სიტყვების ხარჯვა. მაგრამ მე რომ მდომებოდა ამაზე დაწვრილებით შეჩერება, ამას ისე გავაკეთებდი, რომ უწინარეს ყოვლისა, მეჩვენებინა, რომ ისინი ცუდი **ეკონომისტები** არიან და მხოლოდ შემდეგ უკვე ცუდი ბუნებისმეტყველები და ფილოსოფოსები"[3].

მალთუსმა თავისი რეაქციული იდეების პროპაგანდის მიზნით გამოიგონა ვითომდა ბუნებრივი კანონი. „ეს კანონი,—სწერს მალთუსი, — მდგომარეობს ყველა ცოცხალ არსებაში გამოვლინებულ მუდმივ მისწრაფებაში—გამრავლდეს უფრო სწრაფად, ვიდრე ეს დასაშვებია მათს განკარგულებაში არსებული საკვების რაოდენობით"[4].

პროგრესულად მოაზროვნე დარვინისტისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ რეაქციული მალთუსიანური სქემა, თუმცა მიღებულ იქნა დარვინის მიერ, მაგრამ იგი ძირეულად ეწინააღმდეგება მისი საკუთარი მოძღვრების მატერიალისტურ საწყისს. ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ დარვინს, თვითონ დიდ ნატურალისტს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ბიოლოგიას, შექმნა ეპოქა მეცნიერებაში, არ შეეძლო დაკმაყოფილებულიყო მის მიერ მიღებული მალთუსის სქემით, რომელიც სინამდვილეში ძირეულად ეწინააღმდეგებოდა ცოცხალი ბუნების მოვლენებს.

ამიტომ დარვინი, მის მიერვე შეკრებილი უამრავი ბიოლოგიური ფაქტების გავლენით, მთელ რიგ შემთხვევებში იძულებული იყო ძირეულად შეეცვალა ცნება „ბრძოლა არსებობისათვის", მნიშვნელოვნად გაეფართოვებინა იგი და მეტაფორულ გამოთქმადაც კი გამოეცხადებინა იგი. თვით დარვინმა თავის დროზე ვერ შესძლო მის მიერ დაშვებული თეორიული შეცდომებისაგან განთავისუფლება. ეს შეცდომები აღმოაჩინეს და აღნიშნეს მარქსიზმის კლასიკოსებმა. და ამჟამად სავსებით დაუშვებელია მივიღოთ დარვინის თეორიის მცდარი მხარეები, რომლებიც ემყარება ჭარბი მოსახლეობის მალთუსის სქემას ვითომდა აქედან გამომდინარე შინასახეობრივი ბრძოლით. მით უფრო დაუშვებელია, რომ დარვინის მოძღვრების მცდარი მხარეები გავასაღოთ დარვინიზმის ქვაკუთხედად (ი. ი. შმალჰაუზენი, ბ. მ. ზავადოვსკი, პ. მ. ჟუკოვსკი). დარვინის თეორიისადმი ასეთი მიდგომა აბრკოლებს დარვინიზმის მეცნიერული ბირთვის შემოქმედებითს განვითარებას.

დარვინის მოძღვრების წარმოშობის პირველივე მომენტიდან ცხადი გახდა, რომ დარვინიზმის მეცნიერული, მატერიალისტური ბირთვი — მოძღვრება ცოცხალი ბუნების განვითარების შესახებ — ანტაგონისტურ წინააღმდეგობაშია იდეალიზმთან, რომელიც მაშინ ბატონობდა ბიოლოგიაში.

პროგრესულად მოაზროვნე ბიოლოგებმა, როგორც ჩვენებმა, ისე უცხოელებმა, დარვინიზმში დაინახეს მეცნიერული ბიოლოგიის შემდგომი განვითარების ერთადერთი სწორი გზა. ისინი შეუდგნენ დარვინიზმის აქტიურ დაცვას რეაქციონერთა თავდასხმისაგან, რომლებსაც სათავეში ედგნენ ეკლესია და მეცნიერების ობსკურანტები, როგორიც იყო ბეტსონი.

[3] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი ტ. XXVI, გვ. 406-409. ენგელსის წერილი პ. ლ. ლავროვისადმი.

[4] ტ. მალთუსი. მოსახლეობის შესახებ კანონის ცდა. 1908 წ. გვ. 31.

ისეთი გამოჩენილი ბიოლოგი-დარვინისტები, როგორიც იყვნენ ვ. ო. კოვალევსკი, ი. ი. მეჩნიკოვი, ი. მ. სეჩენოვი და განსაკუთრებით, კ. ა. ტიმირიაზევი, მათთვის ჩვეული ჭეშმარიტი მეცნიერული მგზნებარებით იცავდნენ და ავითარებდნენ დარვინიზმს.

კ. ა. ტიმირიაზევი, როგორც დიდი მკვლევარი-ბიოლოგი, ნათლად ხედავდა, რომ მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრების შესახებ მეცნიერების წარმატებით განვითარება შესაძლებელია მხოლოდ დარვინიზმის საფუძვლებზე, რომ მხოლოდ შემდგომ განვითარებული და დარვინიზმის ახალ სიმაღლეზე აყვანილი ბიოლოგიური მეცნიერება მოიპოვებს შესაძლებლობას დაეხმაროს მიწათმოქმედს ორი თავთავი მიიღოს იქ, სადაც ახლა ერთი იზრდება.

თუ დარვინიზმი იმ სახით, როგორც იგი გამოვიდა დარვინის კალმიდან, ეწინააღმდეგებოდა იდეალისტურ მსოფლმხედველობას, მატერიალისტური მოძღვრების განვითარებამ ეს წინააღმდეგობა უფრო გააღრმავა. ამიტომ რეაქციონერმა-ბიოლოგებმა ყოველივე მათზე დამოკიდებული გააკეთეს, რომ დარვინიზმისათვის გამოეცალათ მისი მატერიალისტური ელემენტები. კ. ა. ტიმირიაზევის მსგავსი პროგრესული ბიოლოგების ცალკეული ხმები იფარებოდა მთელი მსოფლიოს რეაქციონერ-ბიოლოგთა ბანაკის ანტიდარვინისტთა შეხმატკბილებულ გუნდში.

დარვინისშემდგომ პერიოდში მსოფლიოს ბიოლოგთა უდიდესი ნაწილი, დარვინის მოძღვრების შემდგომი განვითარების ნაცვლად, ყველაფერს აკეთებდა, რომ დარვინიზმი გაეუხამსებინა, ჩაეხშო მისი მეცნიერული საფუძვლები. დარვინიზმის ასეთი გაუხამსების ყველაზე მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენენ ვეისმანის, მენდელის, მორგანის, თანამედროვე რეაქციული გენეტიკის ფუძემდებელთა მოძღვრებანი.

3. ორი სამყარო — ორი იდეოლოგია ბიოლოგიაში

წარსული და ამ საუკუნეების მიჯნაზე წარმოშობილი ვეისმანიზმი, ხოლო შემდეგ მენდელიზმ-მორგანიზმი თავისი მახვილით მიმართული იყო დარვინის განვითარების თეორიის მატერიალისტური საფუძვლების წინააღმდეგ.

ვეისმანმა თავის კონცეფციას ნეოდარვინიზმი უწოდა, მაგრამ არსებითად ეს კონცეფცია დარვინიზმის მატერიალისტური მხარეების სრული უარყოფა იყო და ბიოლოგიაში იდეალიზმსა და მეტაფიზიკას აპარებდა.

ცოცხალი ბუნების განვითარების მატერიალისტური თეორია წარმოუდგენელია იმ ინდივიდუალურ განსხვავებათა მემკვიდრეობითობის აუცილებლობის აღიარების გარეშე, რომლებსაც ორგანიზმი მისი ცხოვრების გარკვეულ პირობებში იძენს, წარმოუდგენელია შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემის აღიარების გარეშე. ვეისმანმა კი სცადა უარეყო ეს მატერიალისტური დებულება. თავის ძირითად ნაშრომში „ევოლუციური თეორიის ლექციები" ვეისმანი აცხადებს, „რომ მემკვიდრეობის ასეთი ფორმა არათუ დამტკიცებული არ არის, არამედ თეორიულადაც წარმოუდგენელია..."[5]. ვეისმანი იმოწმებს წინათ გამოთქმულ თავის სხვა ამგვარსავე აზრებს და აცხადებს, რომ „ამით ომი გამოეცხადა ლამარკის პრინციპს, რომელიც პირდაპირ ღალატობს ხმარებისა და არხმარების მოქმედებას, და მართლაც, ამით დაიწყო ბრძოლა, რომელიც ჩვენს დრომდეც გრძელდება, ბრძოლა ნეოლამარკისტებსა და ნეო-დარვინისტებს შორის, როგორც უწოდეს მოდავე პარტიებს"[6].

ვეისმანი, როგორც ვხედავთ, ამბობს, რომ მან ომი გამოუცხადა ლამარკის პრინციპს, მაგრამ ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ მან ომი გამოუცხადა იმას, რის გარეშეც არ არსებობს ევოლუციის მატერიალისტური თეორია, ომი გამოუცხადა დარვინიზმის მატერიალისტურ საყრდენებს, ამოეფარა რა სიტყვებს „ნეოდარვინიზმის" შესახებ.

უარჰყო რა შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემა, ვეისმანმა გამოიგონა განსაკუთრებული მემკვიდრეობითი ნივთიერება და აცხადებს, რომ „მემკვიდრეობითი ნივთიერება ბირთვში უნდა ვეძებოთ"[7] და რომ „**მემკვიდრეობის საძიებელი მატარებელი იმყოფება ქრომოზომთა ნივთიერებაში**"[8], რომელნიც შეიცავენ ჩანასახებს, რომელთაგან თვითეული „განსაზღვრავს ორგანიზმის გარკვეულ ნაწილს მის გაჩენაში და საბოლოო ფორმით"[9].

ვეისმანი ამტკიცებს, რომ „არის ცოცხალი ნივთიერების ორი დიდი კატეგორია: **მემკვიდრეობითი ნივთიერება ანუ იდიოპლაზმა და „საკვები ნივთიერება" ანუ ტროფოპლაზმა...**"[10]. შემდეგ ვეისმანი აცხადებს, რომ მემკვიდრეობითი ნივთიერების მატარებლები „**ქრომოზომები თითქოს განსაკუთრებულ სამყაროს წარმოადგენენ**"[11], რომელიც ავტონომიურია ორგანიზმის სხეულისა და მისი სიცოცხლის პირობებისაგან.

გადააქცია რა ცოცხალი სხეული მხოლოდ მემკვიდრეობითი ნივთიერების საკვებ ნიადაგად, შემდეგ ვეისმანი მემკვიდრეობითს ნივთიერებას აცხადებს უკვდავად და ისეთად, რაც კვლავ აღარასოდეს ჩაისახება.

[5] ა. ვეისმანი. ევოლუციური თეორიის ლექციები. 1905 წ., გვ. 294.

[6] იქვე, გვ. 294.

[7] იქვე, გვ. 410.

[8] იქვე, გვ. 411.

[9] იქვე, გვ. 452.

[10] იქვე, გვ. 413.

[11] იქვე, გვ. 353.

„ამრიგად,—ამტკიცებს ვეისმანი, — სახის ჩანასახოვანი პლაზმა კვლავ აღარასოდეს ჩაისახება, არამედ მხოლოდ განუწყვეტლივ იზრდება და მრავლდება, იგი გრძელდება ერთი თაობიდან მეორეში... თუ ამას მხოლოდ გამრავლების თვალსაზრისით შევხედავთ, ჩანასახოვანი უჯრედები ინდივიდუმში უმნიშვნელოვანესი ელემენტი არიან, იმიტომ, რომ მარტო ისინი ინახავენ სახეს, სხეული კი ჩამოდის თითქმის ჩანასახოვანი უჯრედების უბრალო საშენის დონემდე, იმ ადგილამდე, სადაც ისინი იქმნებიან, ხელსაყრელ პირობებში იკვებებიან, მრავლდებიან და მწიფდებიან"[12]. ცოცხალი სხეული და მისი უჯრედები ვეისმანის მიხედვით, — ეს მხოლოდ **სათავსი და საკვები ნიადაგია** მემკვიდრეობითი ნივთიერებისათვის და არასოდეს არ შეუძლიათ უკანასკნელის პროდუცირება, „არასოდეს არ შეუძლიათ წარმოშვან ჩანასახოვანი უჯრედები"[13].

ამრიგად, მითურ მემკვიდრეობითს ნივთიერებას ვეისმანი ანიჭებს განუწყვეტელი არსებობის თვისებას, რომლისთვისაც უცნობია განვითარება და რომელიც იმავე დროს განაგებს ხრწნადი სხეულის განვითარებას.

შემდეგ, „...ჩანასახოვანი უჯრედის მემკვიდრეობითი ნივთიერება, — სწერს ვეისმანი,—რედუქციულ **გაყოფამდე** პოტენციურად შეიცავს სხეულის ყველა ჩანასახს"[14]. და თუმცა ვეისმანი აცხადებს, რომ „ჩანასახოვან პლაზმაში „კეხიანი ცხვირის" დეტერმინანტი არ არის, ისევე როგორც არ არის პეპელას ფრთისა და მთელი მისი ნაწილებისა და ნაწილაკების დეტერმინანტი",—მაგრამ იგი აქვე აზუსტებს თავის აზრს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩანასახოვანი პლაზმა მაინც „...შეიცავს დეტერმინანტთა ერთგვარ რაოდენობას, რომელნიც თანამიმდევრულად განსაზღვრავენ მისი განვითარების ყველა სტადიაში უჯრედთა მთელ ჯგუფს, რომელიც იწვევს ცხვირის წარმოშობას იმგვარად, რომ ამის შედეგად მიღებულ უნდა იქნას კეხიანი ცხვირი, სწორედ იმის მსგავსად, როგორც პეპელას ფრთა ყველა თავისი ძარღვით, უჯრედით, ნერვით, ტრაქეით, ჯირკვლოვანი უჯრედებით, ქერცლის ფორმით, პიგმენტის ნალექით, წარმოიშობა უჯრედთა გამრავლების მსვლელობაზე მრავალი დეტერმინანტის თანმიმდევრული ზეგავლენის გზით"[15].

ამრიგად, ვეისმანის მიხედვით, მემკვიდრეობითი ნივთიერება არ იცნობს ახალ წარმონაქმნს, ინდივიდუუმის განვითარების დროს მემკვიდრეობითი ნივთიერება **არ** იცნობს განვითარებას, **არ** შეიძლება განიცდიდეს რაიმე დამოკიდებულ ცვლილებას.

უკვდავი მემკვიდრეობითი ნივთიერება, ცოცხალი სხეულის განვითარების თვისობრივ თავისებურებათაგან დამოუკიდებელი, ნივთიერება, რომელიც განაგებს ხრწნად სხეულს, მაგრამ მისგან არ წარმოიშობა, — ასეთია ვეისმანის აშკარა იდეალისტური, თავისი არსით მისტიკური კონცეფცია, რომელიც მან წამოაყენა, ამოეფარა რა სიტყვებს, „ნეოდარვინიზმის" შესახებ.

მენდელიზმ-მორგანიზმმა მთლიანად მიიღო და, შეიძლება ითქვას, კიდევაც გააორკეცა ვეისმანის ეს მისტიკური სქემა.

[12] იქვე, გვ. 505.

[13] იქვე, გვ. 504.

[14] იქვე, გვ. 419.

[15] იქვე, გვ. 466.

შეუდგნენ რა მემკვიდრეობითობის შესწავლას, მორგანმა, იოჰანსენმა და მენდელიზმ-მორგანიზმის სხვა ბურჯებმა იმთავითვე განაცხადეს, რომ მათ განზრახული აქვთ გამოიკვლიონ მემკვიდრეობითობის მოვლენები განვითარების დარვინისეული თეორიისაგან დამოუკიდებლად. მაგალითად იოჰანსენი თავის ძირითად ნაშრომში სწერდა: „...ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა იყო ბოლო მოგვეღო ევოლუციის დარგში სპეკულაციისაგან მემკვიდრეობითობის თეორიის მავნე დამოკიდებულებისათვის"[16]. ასეთ დეკლარაციებს მორგანისტები იმისათვის აკეთებდნენ, რომ თავიანთი გამოკვლევანი დაემთავრებინათ მტკიცებით, რომელიც საბოლოო ანგარიშით ნიშნავდა ცოცხალ ბუნებაში განვითარების უარყოფას ან განვითარების, როგორც წმინდა რაოდენობითი ცვლილებების პროცესის, აღიარებას.

როგორც წინათ აღვნიშნეთ, ბიოლოგიურ მეცნიერებაში მატერიალისტური და იდეალისტური მსოფლმხედველობის შეჯახება ხდებოდა ამ მეცნიერების მთელი ისტორიის მანძილზე.

ამჟამად, ორი სამყაროს ბრძოლის ეპოქაში, განსაკუთრებით მკვეთრად გამოირკვა ორი საწინააღმდეგო, ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მიმართულება, რომლებითაც გამსჭვალულია თითქმის ყველა ბიოლოგიურ დისციპლინათა საფუძვლები.

სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ, საკოლმეურნეო-საბჭოთა მეურნეობრივმა წყობილებამ წარმოშვა პრინციპულად ახალი, ჩვენი, მიჩურინული, საბჭოთა, ბიოლოგიური მეცნიერება, რომელიც ვითარდება აგრონომიულ პრაქტიკასთან მჭიდრო ერთიანობით, როგორც აგრონომიული ბიოლოგია.

საბჭოთა აგრობიოლოგიურ მეცნიერებას საფუძველი ჩაუყარეს მიჩურინმა და ვილიამსმა. მათ განაზოგადეს და განავითარეს ყოველივე, რაც კი საუკეთესო რამ დაუგროვებია წარსულში მეცნიერებასა და პრაქტიკას. თავიანთი ნაშრომებით მათ ბევრი პრინციპულად ახალი რამ შეიტანეს მცენარისა და ნიადაგის ბუნების შემეცნებაში, მიწათმოქმედების შემეცნებაში.

საკოლმეურნეო-საბჭოთამეურნეობრივ პრაქტიკასთან მეცნიერების მჭიდრო კავშირი ჰქმნის დაუშრეტელ შესაძლებლობებს იმისათვის, რომ თვით თეორია განვითარდეს ცოცხალ სხეულთა და ნიადაგის ბუნების უკეთ და უკეთ შესაცნობად.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვამტკიცებთ, რომ უძლური მეტაფიზიკური მორგანული „მეცნიერება" ცოცხალ სხეულთა ბუნების შესახებ ოდნავაც ვერ შეედრება ჩვენს ქმედითს მიჩურინულ აგრობიოლოგიურ მეცნიერებას.

ახალმა ქმედითმა მიმართულებამ ბიოლოგიაში, უფრო სწორად, ახალმა საბჭოთა ბიოლოგიამ, აგრობიოლოგიამ, საზღვარგარეთული რეაქციული ბიოლოგიის წარმომადგენელთა, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ მეცნიერთა სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია.

რეაქციული ბიოლოგიური მეცნიერების წარმომადგენლები, რომელთაც ნეოდარვინისტები, ვეისმანისტები ანუ, რაც იგივეა, მენდელისტ-მორგანისტები ეწოდებათ, იცავენ ეგრეთ წოდებულ მემკვიდრეობითობის ქრომოზომულ თეორიას.

მენდელისტ-მორგანისტები, ვეისმანის მიბაძვით, ამტკიცებენ, რომ ქრომოზომებში არსებობს რაღაც განსაკუთრებული „მემკვიდრეობითი ნივთიერება", რომელიც ორგანიზმის სხეულში იმყოფება, როგორც ფუტლარში, და გადაეცემა მომდევნო თაობებს, მიუხედავად სხეულის თვისობრივი სპეციფიკისა და მისი სიცოცხლის პირობებისა. ამ კონცეფციიდან გამოდის, რომ ორგანიზმის მიერ მისი განვითარებისა და სიცოცხლის გარკვეულ პირობებში შეძენილი ახალი მიდრეკილებანი და განსხვავებანი არ შეიძლება მემკვიდრეობითი იყვნენ, მათ არ შეიძლება ევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდეთ.

ამ თეორიის თანახმად, მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმების მიერ შეძენილი თვისებანი არ შეიძლება თაობებს გადაეცნენ, **არ შეიძლება გადაცემულ იქნან მემკვიდრეობით.**

მენდელ-მორგანის თეორიას „ცოცხალი სხეულის" მეცნიერული ცნების შინაარსში სხეულის სიცოცხლის პირობები არ შეაქვს. გარემო, მორგანისტების აზრით, მხოლოდ ფონია, თუმცა აუცილებელი ფონი, ცოცხალი სხეულის ამა თუ იმ თვისებათა გამოვლინებისა და განვითარებისათვის, მისი მემკვიდრეობითობის თანახმად. ამიტომ ცოცხალ სხეულთა მემკვიდრეობითობის (ბუნების) თვისობრივი ცვლილებანი, მათი თვალსაზრისით, სრულიად დამოუკიდებელია გარემოს პირობებისაგან, სიცოცხლის პირობებისაგან.

[16] იოჰანსენი ცვალებადობისა და მემკვიდრეობითობის ზუსტი მოძღვრების ელემენტები. 1933 წ. გვ. 178.

ნეოდარვინიზმის წარმომადგენლებს — მენდელისტ-მორგანისტებს — სრულიად არამეცნიერულად მიაჩნიათ მკვლევართა მისწრაფება — მართონ ორგანიზმების მემკვიდრეობითობა ამ ორგანიზმთა სიცოცხლის პირობების სათანადოდ შეცვლის გზით. ამიტომ მენდელისტ-მორგანისტები აგრობიოლოგიაში მიჩურინულ მიმართულებას უწოდებენ ნეოლამარკისტულ მიმართულებას, რომელიც მათი აზრით ყოვლად მანკიერი და არამეცნიერულია.

ნამდვილად კი საქმის ვითარება სულ საწინააღმდეგოა.

ჯერ-ერთი, ლამარკიზმის ცნობილი დებულებანი, რომლებიც აღიარებენ გარემოს პირობების აქტიურ როლს ცოცხალი სხეულის ფორმირებაში და შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობითობას, წინააღმდეგ ნეოდარვინიზმის (ვეისმანიზმის) მეტაფიზიკისა, სრულიადაც არ არიან მანკიერი, არამედ, პირიქით, სავსებით სწორი და სავსებით მეცნიერული არიან.

მეორე, მიჩურინულ მიმართულებას სრულიად ვერ ვუწოდებთ ვერც ნეოლამარკისტულს და ვერც ნეოდარვინისტულს. იგი არის შემოქმედებითი საბჭოთა დარვინიზმი, რომელიც უარჰყოფს როგორც ერთის, ისე მეორის შეცდომებს და თავისუფალია დარვინის თეორიის იმ ნაწილის შეცდომებისაგან, რომელიც დარვინის მიერ მიღებულ მალთუსის მცდარ სქემას შეეხება.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ დავაში, რომელიც XX საუკუნის დამდეგს ვეისმანისტებსა და ლამარკისტებს შორის გაჩაღდა, ეს უკანასკნელნი უფრო ახლო იყვნენ ჭეშმარიტებასთან, რადგან ისინი მეცნიერების ინტერესებს იცავდნენ, მაშინ როცა ვეისმანისტები მისტიკით იყვნენ გატაცებულნი და მეცნიერებასთან კავშირს სწყვეტდნენ.

მორგანისტული გენეტიკის ნამდვილი იდეოლოგიური სარჩული კარგად გამოააშკარავა (ჩვენი მორგანისტებისათვის მოულოდნელად) ფიზიკოსმა ე. შრედინგერმა. თავის წიგნში „რა არის სიცოცხლე ფიზიკის თვალსაზრისით?" მან მოწონებით გადმოგვცა ვეისმანისტური ქრომოზომული თეორია და მთელ რიგ ფილოსოფიურ დასკვნებამდე მივიდა. აი ძირითადი ამ დასკვნათაგან: „...პირადი ინდივიდუალური სული უდრის ყველგანმყოფ, ყოვლისჩამწვდომ, მარადიულ სულს". თავისი ეს მთავარი დასკვნა შრედინგერს მიაჩნია „...ყველაზე მეტად, რის მოცემაც კი შეუძლია ბიოლოგს, რომელიც ცდილობს ერთი დარტყმით დაამტკიცოს ღვთის არსებობაც და სულის უკვდავებაც"[17].

ჩვენ, საბჭოთა მიჩურინული მიმართულების წარმომადგენლები, ვამტკიცებთ, რომ იმ თვისებათა მემკვიდრეობით მიღება, რომლებსაც მცენარეები და ცხოველები მათი განვითარების პროცესში იძენენ, შესაძლებელია და აუცილებელია. ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინი თავის ექსპერიმენტულ და პრაქტიკულ ნაშრომთა საფუძველზე დაეუფლა ამ შესაძლებლობებს. უმთავრესი კი ის არის, რომ მიჩურინის მოძღვრება, მის ნაშრომებში გადმოცემული, ყოველ ბიოლოგს უხსნის მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმების ბუნების მართვის გზას, იმ გზას, რომ ეს ბუნება შეცვლილ იქნას პრაქტიკისათვის საჭირო მიმართულებით, სიცოცხლის პირობების მართვის საშუალებით, ე. ი. ფიზიოლოგიის მეშვეობით.

ამრიგად, მკვეთრად გამწვავებული ბრძოლა, რომელმაც ბიოლოგები ორ შეურიგებელ ბანაკად გაჰყო, გაჩაღდა ძველი საკითხის გარშემო: **შეიძლება თუ არა მემკვიდრეობით გადაცემულ იქნას ნიშნები და თვისებები, რომლებსაც მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმები მათი სიცოცხლის განმავლობაში იძენენ?** სხვანაირად რომ ვთქვათ, დამოკიდებულია თუ არა მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმების ბუნების თვისობრივი ცვლილებანი სიცოცხლის იმ პირობათა თვისებაზე, რომელნიც ზეგავლენას ახდენენ ცოცხალ სხეულზე, ორგანიზმზე.

მიჩურინული მოძღვრება, თავისი არსით მატერიალისტურ-დიალექტიკური, ფაქტებით ამტკიცებს ასეთ დამოკიდებულებას.

მენდელისტურ-მორგანისტული მოძღვრება, თავისი არსით მეტაფიზიკურ-იდეალისტური, დაუმტკიცებლად უარჰყოფს ასეთ დამოკიდებულებას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

[17] ე. შრედინგერი. რა არის სიცოცხლე ფიზიკის თვალსაზრისით? უცხოური ლიტერატურის გამომცემლობა. მოსკოვი. 1947 წ., გვ. 123.

პრესის მიმოხილვა

როცა გაზეთს პოლიტიკური სიმახვილე აკლია

ნი რესპუბლიკის საკოლმეურნეო ვრებზე დიდი მუშაობაა გაჩაღე- თავთავიანი კულტურების მო- ის ასაღებად. კახეთის რაიონებში ულის მკა ძირითადად დამთავ- ლია, ხოლო ქართლის რაიონებში კიდევ გრძელდება. შრომის სწორ ანიზაციაზე, მთელი ძალებისა და ალებათა მაქსიმალურად გამოყე- ზე ბევრად არის დამოკიდებული ვანდელი მოსავლის უდანაკარგოდ, ცე აგროვადებში აღება, სახელ- ოსათვის მარცვლეულის სავალდე- ო ჩაბარების გეგმის დროზე შეს- ება.

პასუხსაგებ ამოცანათა ფონზე სა- ლო-სამეურნეო სამუშაოთა ყველა ში თვალსაჩინოდ უნდა მოსჩან- რაიონული გაზეთის მაორგანიზე- როლი, ინიციატივა და საზოგა- ბრივი კონტროლი. თუ ამ თვალ- ისით განვიხილავთ ხაშურის რაი- ლ გაზეთ „ბოლშევიკურ სიტყვას“ სმგებელი რედაქტორი ლ. კა- ელი), შეიძლება ითქვას, რომ, ცა ის თანმიმდევრობით აშუქებს ვლის აღების საკითხებს, მაგრამ ულყოფილად. გაზეთი გვერდს ის მოსავლის აღების საკვანძო სა- ებს, გაუბედავად აკრიტიკებს ნაკ- ანებებს.

ლისში ხაშურის რაიონის კოლ- ნეობები მასობრივად შეუდგნენ ულის მოსავლის აღებას. „ბოლ- კურმა სიტყვამ“ 2 ივლისს დაბეჭ- ეთაური წერილი: „აღვკვეთოთ ქტები და ნაკლოვანებები მოსავ- აღების საქმეში“. (განა „დეფექ- “ იგივე „ნაკლოვანებები“ არაა? ედ.). მეთაური მიძღვნილია მო- ის აღების პირველი დღეე- შედეგებისადმი. როგორც გაზეთი ს, სავანის უბანში 5-6 დღეს მედოდ იყო მტს-ის სალეწი მან- კბილანას და გადამცემის უქონ- ის გამო, გასალეწი ძნა კი მომზა- ული იყო. შემდეგ გაზეთს მოჰყავს ის დაწყების გაჭიანურების მაგა- ბი კრისხევის კოლმეურნეობაში, ს საწყობების მოუმზადებლობაზე ლ თაგვეთის, ვაყის, ქაშვეთის და კოლმეურნეობებში. მაგრამ გაზე- რ აკრიტიკებს მათ, ვისი მიზეზი- მოხდა ეს, არ მიუთითებს, რომ ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწი- მტს-ის დირექციისა და რაიონის ლის მეურნეობის განყოფილების ხელმძღვანელობით აიხსნება. თი სწერს:

მოსავლის აღება ისეთი საქმეა, რომელ- თავს ვერ გაართმევ სამუშაო გეგმის გა- სამუშაო გეგმა კი მთელ რიგ კოლ- რნეობებში ახლაც არა აქვთ შედგენი-

რ-ერთი, გაზეთმა დააგვიანა ამ ხის დაყენება, მეორეც, მან აუ- გვერდი აუარა რაიონის სამი- ქმედო ორგანოების მუშაკთა კას, რომელნიც ვალდებული იყ- დახმარებოდნენ კოლმეურნეო- როგორც მოსავლის აღების გეგ- შედგენაში, ისე მათს განხორ- ებაში.

ზეთის მომდევნო ნომერში დაბეჭ- ა მეთაური წერილი „აგიტატორ- ბრძოლო ამოცანა“, მიძღვნილი ვლის აღებისადმი, და ერთი კო- ონდენცია — „როგორ იღებენ მო- ს ვაყის საბჭოს კოლმეურნეო- “. მეთაური წერილი ადგილობ- პარტიული ორგანიზაციებისა და ატორების ყურადღებას ამახვი- მოსავლის აღების დღეებში მათს შენელოვანეს ამოცანებზე და იგი დ არის დაწერილი. კორესპონ- ია სამართლიანად აკრიტიკებს ვა- სასოფლო საბჭოში შემავალ კოლ- ნეობებს, სადაც

„...გაცილებით მეტის მომკა შეეძლოთ, ლა ბრიგადა და ცალკეული კოლმეურნე სრული დატვირთვით მუშაობდეს... აღ- ნიშნავია, რომ სასოფლო საბჭოში შემავა- კოლმეურნეობები დაუშვებლად აჭიანურ- ებენ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის რებას... ვაყის კოლმეურნეობას, სადაც გალეწილია 75 ჰექტარი პურის მოსავალი, ჯერ ერთი კილოგრამიც არ ჩაუბარებია სახელმწიფოსათვის“.

გაზეთი ანალიზს არ უკეთებს ამ სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზებს. აღნიშნული მდგომარეობა ხომ კარგად იცოდნენ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ და სასოფლო საბჭომ? რა ზომები მიიღეს მათ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად? საერთოდ რა მუშაობას ეწევიან სოფლის საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები მოსავლის აღების დღეებში? ამ საკითხზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი კორესპონდენციაში.

პარტიის ხაშურის რაიკომის პლენუმმა 11 ივლისს სპეციალურად განიხილა საკითხი — რაიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების დამუშავების, მოსავლის აღებისა და მარცვლეულის დამზადების მიმდინარეობის შესახებ. გაზეთმა პლენუმის ანგარიშს სამი სვეტი მიუძღვნა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ 10 ივლისისათვის რაიონის 80 კოლმეურნეობიდან პურის სავალდებულო ჩაბარება მხოლოდ 9 კოლმეურნეობას ჰქონდა დაწყებული. მოსალოდნელი იყო, რომ რაიკომის პლენუმის შემდეგ „ბოლშევიკური სიტყვა“ სერიოზულად მოჰკიდებდა ხელს ლეწვის დაჩქარებისა და პურის დამზადების საკითხების ოპერატიულად გაშუქებას, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად კოლმეურნეთა საზოგადოებრივი აზრის დარაზმვას, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. გაზეთმა პლენუმის შედეგებზე არამცთუ მეთაური წერილი, ერთი საქმიანი კორესპონდენციაც კი არ დაბეჭდა მორიგ ნომერში მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების საკითხებზე. სამსტრიქონიან ცნობაში— „ძლიერდება პურის დამზადების ტემპი“ და ოცსტრიქონიან კორესპონდენციაში—„პატარა სატივის კოლმეურნეობაში“,—არსებითად არაფერია ნათქვამი რაიონში ამ მხრივ მომხდარი „გარდატეხის“ შესახებ.

მხოლოდ 20 ივლისის ნომერში უბრუნდება გაზეთი ლეწვისა და მარცვლეულის დამზადების საკითხს. კორესპონდენციაში — „ლეწვა და პურეულის დამზადება უნდა დაჩქარდეს“, ავტორი ეხება გომის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში არსებულ მდგომარეობას. როგორც გაზეთი სწერს, დიღსატიველი

„...კოლმეურნეები მოსავლის აღებას მალე დაამთავრებდნენ, კომბაინი და სალეწი მანქანა, რომ შეუფერხებლად მუშაობდეს. კომბაინერ ანტონ ხაჩინკის კომბაინმა 13-დან 18 ივლისამდე 14 ჰექტარზე აიღო მოსავალი. 16 და 17 ივლისს კომბაინი მოსცდა სხვადასხვა სათადარიგო ნაწილების გაფუჭებისა და დამტვრევის გამო. სალეწი მანქანაც (მემანქანე ა. მჭედლიშვილი) ვერ ასრულებს ლეწვის დღიურ გეგმებს“.

შემდეგ აღნიშნულია, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში თუმცა ადრე დაამთავრეს მკა, მაგრამ ლეწვას არ შესდგომიან. ეს კი დიდად აფერხებს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებას. რა არის ამის მიზეზი, რა უშლის ხელს ლეწვის დაწყებას? ამაზე არაფერია ნათქვამი კორესპონდენციაში.

თუმცა „ბოლშევიკურმა სიტყვამ“ დაბეჭდა ზემოაღნიშნული კრიტიკული წერილები და კორესპონდენციები, მაგრამ, თუ როგორ გამოეხმაურნენ ამ სიგნალებს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები, გაზეთის ვერც ერთ ნომერში ვერ წაიკითხავთ.

გაზეთ „ბოლშევიკურ სიტყვას“ მართებს უფრო გააძლიეროს მოსავლის აღებისა და პურის დამზადების საკითხების ოპერატიულად, შინაარსიანად გაშუქება, დაეხმაროს რაიონის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოებს ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამეურნეო და პოლიტიკური კამპანიის წარმატებით ჩატარების საქმეში.

ხაშურელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად

კოლმეურნეები ეხმარებიან სკოლებს

მხრეთ ოსეთის მთელი რიგი კოლ- ნეობები ნაყოფიერ დახმარებას ენ სკოლებს ახალი სასწავლო სათვის მზადებაში.

მუშოდ შესრულებს საკლასო ების რემონტი სტალინირის რაიო- სოფელ ერედვის რვაწლიან სკო- სკოლის რემონტი ძირითადად სოფლის კოლმეურნეობამ ჩაატა- საკლასო ოთახების რემონტზე გულად მუშაობდა კოლმეურნე ლ ცოტნიაშვილი. ახლა აქ არე- ბენ საკლასო დგამ-ავეჯს. ამ სა- ის ასრულებს სტახანოველი კოლ- ნე ო. ქრისტესიაშვილი. სოფელ- ტად არის აღრიცხული სასკო- საკის ყველა ბავშვი. მიმდინარე სკოლაში პირველად დაიწყებს ას ერედველთა 33 ბავშვი.

ედველმა კოლმეურნეებმა საკუ- საშუალებებით შეაკეთეს სკო- საცხოვრავი. მათვე იკისრეს უახლო- ღეებში უზრუნველჰყონ სკოლა რისათვის საჭირო რაოდენობის ით.

ვაურის საშუალო სკოლას რემონ- საქმეში დიდი დახმარება გაუწია ლ თიღვის კარლ მარქსის სახელო- ოლმეურნეობამ. ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში თავიანთ სოფლის სკოლებს ყოველნაირად ეხმარებიან ზნაურის რაიონის ძველეთის, მაღლის და სხვა კოლმეურნეობები.

ჯავის რაიონის სოფელ ჯრიის რვაწლიანი სკოლის რემონტი მთლიანად კოლმეურნეთა ძალებით ჩატარდა.

სკოლებს ნაყოფიერად ეხმარებიან ლენინგორელი კოლმეურნეები. ამ რაიონის ორხევანის რვაწლიანი სკოლის რემონტი მაღალხარისხოვნად შეასრულა ამავე სოფლის კოლმეურნეობამ. ლენინგორის რაიონის გარეჯების, წინაგრის, წოლდის, ახმაჯის კოლმეურნეობები წარმატებით მუშაობენ თავიანთი სოფლის სკოლების შენობათა გაფართოებაზე.

ხაშურის რაიონის კოლმეურნეთა აქტივის მიმართვას საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა სასოფლო საბჭოს აღმასკომის, კოლმეურნეობის და კოლმეურნის მიმართ მხურვალედ ეხმაურებიან სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეები. ისინი ახალ ვალდებულებებს კისრულობენ, ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში სკოლებისათვის მეტი დახმარების აღმოჩენის მიზნით.

ვლ. გელაშვილი

გიორგი ლეონიძე

სამგორელები

1 იორი

ჩავხედე, სამგორელების
კარავი კარავს უბია,
გავხედე, მოდის იორი,
ძნელი გზა გამოუპია
მოსწყინდა ტყეებში ყოფნა
ან და რა სანუკვარია? —
თბილისში უნდა, თბილისში,
სადაც მისი ძმა — მტკვარია!

2. ბერი პაპა

ვინ არ იბრძვის სამგორისთვის,
წერაქვით და ნიჩბით, ბარით, —
ბერი პაპაც დავინახე,
ხალხში მდგარი თმაჭაღარი.
— აქ რა გინდა ბერო პაპავ,
ცოტა ჰღვარე ოფლის ღვარი?
ქუდი გვერდზე მოიბრუნა:
— მეც მსურს დავკრა სამგორს ბარი!

3. სამგორის აკვნები

ღამე ნაბდებში მიყუჟდნენ,
იმის კარვებში ჩურჩული,
გაბრწყინვებულა მთვარეში
სამშობლო გადაფურჩნული.
და ერთი ამბობს ოცნებით,
ბიჭი მკერგადაღეღილი:
— ვხედავ დიდ ბაღებს სამგორზე
შუქს იტყორცნება ხეხილი!
— არ გესმით, მღერა აკვნებზე?...
ვუსმენ, ვით ათას იადონს!
სთქვა ერთმა, განცვიფრებულმა
და ყური მიწას მიადო...

4. სამგორის მინდორველო!

სამგორის მინდორველოო,
გეყო, რაც იყავ ღარიბი!
გამო დიდ გზაზე იორო,
ფირუზისფერი ღვარებით.
ტურფა ხარ ჩემო ქვეყანავ,
მშვენიერებით იქები,
ხვალიდან უფრო ლამაზი
და უტურფესი იქნები!

ახალი წიგნები

„საისტორიო მოამბე“, ტომი მესამე. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო გამომცემლობა. 516 გვერდი, ფასი 60 მანეთი.

მესამე ტომში შეტანილია შემდეგი ნაშრომები: პროფესორი ლეონ მელიქსეთ-ბეგი—საარქივო მასალები თბილისის ამქართა 1865 წლის „გამოსვლის“ ისტორიისათვის; მ. იოვაძე — ილია ჭავჭავაძე (დოკუმენტალური მასალები); პროფესორი შ. ჩხეტია—მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე.

თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი. ს ეული-ქურიძის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 92 გვერდი, ფასი 20 მანეთი.

გამოსაცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ს. იორდანიშვილმა.

აკაკი წერეთელი. „პოეტის ბიბლიოთეკის“ სერია გ. ქიქოძის რედაქციით. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. 340 გვერდი, ფასი 15 მანეთი.

წიგნში შეტანილია 67 ლექსი და პოემები: „გამზრდელი“, „თორნიკე ერისთავი“ და „პატარა კახი“.

ალ. ხუმბათაშვილი—„ლალატი“ დრამა-ლეგენდა 5 მოქმედებად, გ. ბუხნიკაშვილის რედაქციით. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. 202 გვერდი, ფასი 8 მანეთი.

წიგნს წამძღვარებული აქვს გ. ბუხნიკაშვილის წინასიტყვაობა—იეთიმ და მისი „ლალატი“.

„ლიტერატურული ალმანახი“

აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ამ დღეებში გამოსცა აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირის „ლიტერატურული ალმანახი“ № 1.

ალმანახში მოთავსებულია აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას, ბ. შინქუბას, ქ. აგუმაას, ი. ჯონუას, ბ. შინქუბას, ი. კოგონიას, ჟ. მისაბიშვილის, თ. გოგოლაძის და სხვათა ლექსები, პროზაიკოსების ი. პაპასკირის, გ. გულიას, ალ. უბილავას, ვ. თორდუას და გ. გოგიჩაიშვილის მოთხრობები, აგრეთვე პ. როტაიანის წერილი „ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის წყაროები“, ი. ბოცვაძის—„მასალები ნ. ლომოურის ბიოგრაფიისათვის“ და ზ. ზლაჟბას—„ძმობის მომღერალი“.

„ლიტერატურული ალმანახის“ რედაქტორია ბ. შერულავა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ახალი ინსტიტუტი

მოსკოვში იქმნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზუსტი მექანიკისა და საანგარიშო ტექნიკის ინსტიტუტი. ახალი სამეცნიერო ცენტრის მიზანია საბჭოთა საანგარიშო ტექნიკის შემდგომი განვითარება თანამედროვე მათემატიკური მანქანების საფუძველზე.

ინსტიტუტი დაამუშავებს მექანიკური სისტემისა და ელექტროსისტემის სიზუსტის თეორიის ზოგად საკითხებს, მათემატიკური მანქანების აგების პრინციპებს, ამ მანქანებით ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდებს.

— საბჭოთა მეცნიერები, — განაცხადა აკადემიკოსმა ნ. გ. ბრუევიჩმა, — იგონებენ და აგებენ სულ ახალ, უფრო სრულყოფილ მათემატიკურ მანქანებს. ეს მანქანები უაღრესად მოკლე ვადაში რთული მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტის საშუალებას იძლევიან.

სახალხო მეურნეობაში საანგარიშო მანქანების დანერგვა დროისა და შრომის დიდ ეკონომიას მოგვცემს.

რუსულ მეცნიერებას სახელოვანი ისტორია აქვს ისეთი მანქანების კონსტრუქციათა შექმნის დარგში, რომლებიც ამარტივებენ და აჩქარებენ უაღრესად ძნელ გამოანგარიშებას. საკმარისია მოვიგონოთ აკადემიკოსი პ. ლ. ჩებიშევი — განუწყვეტლივ მოქმედი არითმომეტრის შემქმნელი, აკადემიკოსი ა. ნ. კრილოვი, რომელმაც შექმნა მსოფლიოში პირველი მანქანა რთული მათემატიკური ამოცანების გადასაწყვეტად, პროფესორი გერშგორინი, რომელმაც შეიმუშავა მანქანურ მათემატიკაში ელექტრო და მექანიკურ მოწყობილობათა გამოყენების პრინციპი.

მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკულ ინსტიტუტსა და მთელ რიგ სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ამჟამად იყენებენ ელექტროინტეგრატორს—უმაღლესი მათემატიკის რთული ამოცანების გადასაწყვეტ მანქანას. ამ მანქანის ავტორებს—ლ. ი. გუტენმახერს, ნ. ვ. კოროლკოვს, ბ. ა. ვოლინსკის, ვ. პ. ლებედევს წელს სტალინური პრემია მიენიჭათ.

საბჭოთა მანქანური მათემატიკის ესოდენ ფართო განვითარებამ გამოიწვია ისეთი ერთიანი სამეცნიერო-საექსპერიმენტო ცენტრის შექმნის საჭიროება, როგორიც იქნება აკადემიის ზუსტი მექანიკისა და საანგარიშო ტექნიკის ინსტიტუტი. იგი ხელს შეუწყობს გამოკვლევათა გაღრმავებას, სახალხო მეურნეობაში მეცნიერების მიღწევათა სწრაფ დანერგვას და საბჭოთა სავამოკვლევო აზრის პრიორიტეტის დამკვიდრებას მეცნიერებისა და ტექნიკის ამ დარგში, რომელსაც უეჭველია დიდი მომავალი აქვს.

(საკდესი.)

ახალი უმაღლესი სასწავლებლები

როგორც საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროში აცნობეს, შემოდგომაზე ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში ათობით ახალი უმაღლესი სასწავლებელი, ფაკულტეტი და განყოფილებანი იხსნება. დედაქალაქში იქმნება ვეტერინარული აკადემია, სტალინაბადში ტაჯიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კალინინგრადში — სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ომსკში — უმაღლესი სამდინარო სასწავლებელი, რიგაში—თეატრალური ინსტიტუტი.

იურიდიული ფაკულტეტი ეწყობა ტომსკის, ხარკოვისა და ბელორუსიის უნივერსიტეტებში, გეოგრაფიული ფაკულტეტი — კრასნოდარის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი — არხანგელსკის, ვორონეჟის, ივანოვოს, ყირიმისა და ზოგიერთ სხვა პედაგოგიურ ინსტიტუტში. სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ფაკულტეტი იქმნება ლვოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ქარხნის დანადგართა კონსტრუირებისა და წარმოების ინჟინერთა მოსამზადებელი განყოფილება — მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტში.

დაუსწრებელი განყოფილება ეწყობა 14 სამასწავლებლო ინსტიტუტში — ვიშნევოლოცკში, ველიკიე ლუკში, ნოვგოროდში, ნიჟნი ტაგილში, ტაგანროგში და სხვაგან, აგრეთვე მოსკოვის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტთან. ეს განყოფილებანი მოამზადებენ ისტორიის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, ინგლისური და ფრანგული ენის პედაგოგებს.

მოსკოვისა და ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტებში ახალი სასწავლო წლიდან შემოღებულ იქნება მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის სწავლა. ტექნიკის ისტორიის კურსი წაკითხულ იქნება ლენინგრადის, კიევის, ლვოვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში, მოსკოვისა და ლენინგრადის სამთო ინსტიტუტებში, ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, ორჯონიკიძის სახელობის საავიაციო ინსტიტუტსა და მთელ რიგ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ყველა უმაღლეს სასწავლებელში წაკითხულ იქნება ლექციების ციკლი მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარებაში გამოჩენილ რუს მეცნიერთა როლის შესახებ.

საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტმა შეასრულა ტვირთზიდვის ივლისის გეგმა

საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტმა ივლისში ტვირთზიდვის გეგმა ტონამილის მიხედვით 108 პროცენტით და ტონის მიხედვით — 101 პროცენტით შეასრულა.

გადაზიდვის გეგმა შესრულებულია როგორც მშრალი ტვირთის, ისე ნავთის გადაზიდვის დარგში.

მოწინავეთა შორის არიან: ბალტიის, ლატვიის, ესტონეთის, მურმანის, დუნაის, შავი ზღვის, აზოვის, კასპიის, სახალინის, „კასპტანკერის“, „რეიდტანკერის“ და „სოვტანკერის“ სანაოსნოები.

გეგმა არ შეუსრულებიათ შორეული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის სანაოსნოებს. (საკდესი).

საერთაშორისო მიმოხილვა

დუნაის პრობლემის გადაჭრის ორი მეთოდი

დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის პრობლემას, რომელსაც ამჟამად იხილავენ დუნაის კონფერენციაზე ბელგრადში, უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს დუნაისპირა ქვეყნებისათვის. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ომამდე დუნაით გადაჰქონდათ ბულგარეთის მთელი საექსპორტო საქონლის ნახევარი და იუგოსლავიის საექსპორტო საქონლის მესამედი. დუნაი იყო და არის ერთადერთი სანაოსნო კავშირი ზღვასთან ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და ავსტრიისათვის.

დუნაისპირა ქვეყნებში დემოკრატიული წყობილების გამარჯვების, სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულების მსვლელობაში მათი ეკონომიური აღორძინებისა და გაძლიერების შემდეგ დუნაის როლი საშინაო გადაზიდვებსა და საგარეო ვაჭრობაში კიდევ უფრო იზრდება.

დუნაის პრობლემას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს დუნაისპირა ქვეყნების ხალხებისათვის პოლიტიკურადაც. მაშინ, როცა დუნაისპირა მცირე ქვეყნებს ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ნატამალიც არ ჰქონდათ, „დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა“ ხელთ იგდეს დუნაი. ისინი დიდ სანაოსნო არტერიას იყენებდნენ თავისი ეკონომიური და პოლიტიკური გავლენისადმი დუნაისპირა ქვეყნების დასამორჩილებლად. პარიზის 1856 წლის 30 მარტის ტრაქტატით, დუნაი გამოცხადდა „საერთაშორისო მდინარედ“. ეგრეთწოდებული „ევროპის დუნაის კომისიის“ შექმნით, რომელშიც მონაწილეობას ჩამოაცილეს დუნაისპირა ქვეყნები, შემოღებულ იქნა საერთაშორისო კონტროლი დუნაის შესართავზე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ანტანტის ქვეყნებმა დუნაიზე თავიანთი იმპერიალისტური პოზიციების განსამტკიცებლად 1921 წელს შეჰქმნეს „დუნაის საერთაშორისო კომისია“. ისევე როგორც 1856 წელს, ეს იყო დუნაისპირა ქვეყნების საარსებო ინტერესებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული აქტი. ასეთია დიდი სახელმწიფოების „ისტორიული უფლებანი“, რომელთა აღდგენასაც ახლა ასე ცდილობენ დუნაის კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები. იმოწმებს რა ამ „შეძენილ უფლებებს“ დასავლეთი სახელმწიფოების დიპლომატია ცდილობს მომავლისათვისაც უზრუნველჰყოს თავისი საკომანდო პოზიციები დუნაიზე.

ყველას ახსოვს, თუ როგორ ჩაიგდეს ხელში ამერიკელმა ხელისუფლებმა 1945 წელს ავსტრიისა და გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ ზონაში უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის 800-ზე მეტი სამდინარო გემი, რომლებიც ჰიტლერელებმა თან წაიყვანეს უკან დახევის დროს. ამ გემებს არ უბრუნებდნენ მათ კანონიერ პატრონებს, ვინაიდან ისინი დუნაისპირა ქვეყნების პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხერხებულ საშუალებას წარმოადგენდნენ. „ეს გემები,—გულახდილად სწერდა იმ დროს გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“,— კოზირია დასავლეთის სახელმწიფოების ხელში და ამერიკელები არ დასთმობენ ამ კოზირს“.

1946 წელს პარიზის საზავო კონფერენციაზე ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა კვლავ წამოაყენეს დუნაის პრობლემის გადაჭრის თავიანთი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა წინანდელ უპირატესობათა დატოვებას და რომელიც განამტკიცებდა დუნაისპირა ქვეყნების დამოკიდებულებას დუნაიდან მრავალი ასეული კილომეტრით დაშორებულ სახელმწიფოთაგან.

ვ. მ. მოლოტოვი პარიზის საზავო კონფერენციაზე დუნაის საკითხის შესახებ ლაპარაკობდა ორ პირდაპირ საწინააღმდეგო მეთოდზე საერთაშორისო ცხოვრებაში. ერთი მეთოდია ბატონობა, მეორე მეთოდია დემოკრატიული თანამშრომლობა, რომელიც ემყარება ყველა დიდი და მცირე სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობის პრინციპისა და კანონიერი ინტერესების აღიარებას.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები ცდილობენ ახლაც თავს მოახვიონ დუნაის კონფერენციას ბელგრადში დუნაის პრობლემის გადაჭრის მათ მიერ გამოყენებული მეთოდი. ეს თავს იჩენს კერძოდ დაჟინებულ ცდაში, რომ მოახდინონ ყბადაღებული 1921 წლის კონვენციის გალეგალიზაცია.

1921 წლის დუნაის კონვენცია, რომელიც მცირე დუნაისპირა ქვეყნებზე ძალადობის გამოხატულება იყო, თვით დასავლეთმა სახელმწიფოებმა მოსპეს 1938 და 1939 წლებში ახალი შეთანხმებებით, რომლებითაც დუნაი ფაქტიურად გადასცეს ჰიტლერული გერმანიის განკარგულებაში.

შემთხვევითი როდია, რომ 1921 წელს „შეძენილი“ უფლებების დატოვების მოთხოვნასთან ერთად, ახლა ბელგრადის კონფერენციაზე ამერიკის დელეგატი კენონი დუნაიზე ამერიკის შეერთებული შტატების „უფლებებს“ განამტკიცებს „მარშალის გეგმის“ გამოცდილების დამოწმებით. ამრიგად, საჭირო ხდება 1921 წლის „შეძენილი უფლებების“ განმტკიცება 1948 წლის „შეძენილი უფლებებით“. ფრანს პრესის სააგენტოს ბელგრადელი კორესპონდენტი იმასაც კი ამტკიცებს, რომ დუნაის პრობლემის არსი დღეს არის ...„დუნაიზე ამერიკის შეერთებული შტატების პირველად გამოჩენა“.

საბჭოთა დელეგაციამ და ყველა დუნაისპირა ქვეყნის დელეგაციებმა კონფერენციაზე ცხადჰყვეს, რომ აქ დიქტატის მეთოდები არ გამოდგება. 1921 წლის კონვენცია, რომელსაც არავითარი საფუძველი არა აქვს, არ შეიძლება დუნაიზე გამოყენებულ იქნას ამჟამად, როცა დუნაისპირა ქვეყნების ხალხები მძიმე ბრძოლისა და უდიდესი მსხვერპლის ფასად განთავისუფლდნენ უცხოეთის იმპერიალისტური ბატონობის ყოველგვარი ფორმისაგან და პირველად თავიანთ ისტორიაში მოიპოვეს დამოუკიდებლობა. დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის საკითხი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ დემოკრატიული თანამშრომლობის მეთოდით, რომელიც ემყარება როგორც დიდი, ისე მცირე სახელმწიფოების თანასწორუფლებიანობის პრინციპისა და კანონიერი ინტერესების აღიარებას.

წარმატება არ ექნება არავითარ ცდას, რომ თავს მოგვახვიონ იმპერიალისტური ქვეყნების ჩარევა დუნაისპირა ქვეყნების საშინაო ცხოვრებაში. დუნაიზე ნაოსნობის ორგანიზაცია ყველა ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის შესაძლებელია მხოლოდ დუნაისპირა ხალხების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვით. პრობლემის ასეთი გადაჭრა გათვალისწინებულია კონვენციის პროექტით, რომელიც წამოაყენა საბჭოთა დელეგაციამ და ერთსულოვნად მოიწონეს ყველა დუნაისპირა ქვეყნის დელეგაციებმა.

უნგრული გაზეთი „საბად ნეპი“, კომენტარს უკეთებდა რა დუნაის კონფერენციის მიმდინარეობას, სწერდა: „დუნაის კონფერენციამ წარმოადგინა დემოკრატიის ძალების განმტკიცების ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთი. დემოკრატიის აღმოსავლეთ-ევროპული ხალხები მას შემდეგ, რაც კაპიტალისტთა და ფეოდალიზმის ძალაუფლების ლიკვიდაციასთან ერთად ეროვნული ცხოვრების ყველა დარგიდან აძევებენ უცხოელ იმპერიალისტთა გავლენას. არც ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, არც ნაოსნობაში აღარ იქნება უცხოეთის ინტერესების უპირატესობა ეროვნული დამოუკიდებლობის ინტერესთა საზიანოდ. დუნაის კონფერენცია ცხადჰყოფს, რომ ჩვენ თანახმანი ვართ ვითანამშრომლოთ ყოველ მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან, შესაძლებლობას ვუქმნით სხვა სახელმწიფოებსაც მონაწილეობა მიიღონ ნაოსნობაში, მაგრამ ფხიზლად ვიცავთ ჩვენს დამოუკიდებლობას, რომლის დაცვაც უცხოეთის ყოველგვარი მუქარისაგან ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობით“. ეს სიტყვები, უეჭველია, გამოხატავენ ყველა დუნაისპირა ქვეყნების ხალხთა აზრსა და განწყობილებას, რომლებიც წინააღმდეგი არიან ამერიკული პროექტისა, რომლითაც გათვალისწინებულია დუნაის კომისიის შემადგენლობაში არადუნაის ქვეყნების წარმომადგენელთა შეყვანა და მათ მიერ „თავისუფალი ნავსადგურების“ მიღება.

ინდონეზიის საკითხი უშიშროების საბჭოში

უშიშროების საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც ინდონეზიის საკითხს მიეძღვნა, ჰოლანდიისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები დაჟინებით ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ინდონეზიაში „განსაკუთრებული არაფერი ხდება“. ინდონეზიიდან მიღებული ცნობები კი მოწმობენ მზარდ დაძაბულობას ინდონეზიაში, და ამან არ შეიძლება არ შეაშფოთოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი.

ინდონეზიის რესპუბლიკას სულს ეხუთება ჰოლანდიელების მიერ ჩატარებული ეკონომიური ბლოკადის მარწუხებში, დამსჯელი რაზმები თარეშობენ ჰოლანდიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე. სურაბაიის მახლობლად მატარებელში 50 ინდონეზიელი სამხედრო ტყვის მხეცურად მოკვლის შემდეგ მსოფლიომ შეიტყო ჰოლანდიელ კოლონიზატორთა საშინელი დანაშაული: ქალაქ ტიხალონგის საჰაერო დაბომბვა, რომლის დროსაც მოკლულ და დაჭრილ იქნა ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები. უკანასკნელი ცნობებით, სასამართლომ გაამართლა სურაბაიელი მკვლელები, ხოლო ჰოლანდიის სარდლობამ უარი სთქვა გამოეძია ეს დანაშაული.

ჰოლანდიელების მიერ პროვოცირებული შეიარაღებული შეტაკებები გრძელდება. გაზეთები იუწყებიან, რომ ინდონეზიაში მზადდება ჰოლანდიელთა ახალი შეტევა. 30 ივლისს როტერდამიდან იავაზე გაემგზავრა გემი „ზანდერკრაისი“ 1.200 ჯარისკაცითა და ოფიცრით.

ორწლიოწადნახევრის მანძილზე ინდონეზიის საკითხი არ იხსნება უშიშროების საბჭოს დღის წესრიგიდან. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დამტკიცებულია ჰოლანდიის აგრესიის ფაქტი ინდონეზიის რესპუბლიკის წინააღმდეგ, ინგლის-ამერიკის ბლოკის დანაშაულით უშიშროების საბჭოს არაფერი გაუკეთებია ამ აგრესიის ალაკვეთად და ინდონეზიაში მშვიდობის აღსადგენად. მიმდინარე წლის იანვარში ეგრეთწოდებულმა „კეთილი სამსახურის“ კომისიამ (რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიისა და ბელგიის წარმომადგენლებისაგან შესდგება), რესპუბლიკას თავს მოახვია რენვილის კაბალური შეთანხმება, რამაც ინდონეზიელი ხალხის აღშფოთების ტალღა გამოიწვია.

შეთანხმების დადებისთანავე ჰოლანდიელებმა დაიწყეს მისი დაუსჯელად დარღვევა. ჰოლანდიელები მიზნად ისახავდნენ მარიონეტული „ინდონეზიის შეერთებული შტატების“ შექმნას, რაც მოსპობდა რესპუბლიკური უფლებრივი წესრიგის შესაძლებლობას, და რენვილის გადაწყვეტილებათა გვერდის ავლით მოაწყეს მთელი რიგი მარიონეტული სახელმწიფოები, რომლებსაც სათავეში ჩაუყენეს თავიანთი დამქაშები. ყოველივე ეს უნიადაგოს ხდის შემდგომ მოლაპარაკებას ჰოლანდიისა და ინდონეზიის შორის კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით.

ეჭვი არ არის, ჰოლანდიელი იმპერიალისტები ვერ შესძლებდნენ ასე დაუსჯელად მოქმედებას, მათ რომ მხარს არ უჭერდნენ სხვა კოლონიური სახელმწიფოები, რომლებიც „დამამშვიდებლების“ როლში გამოდიან.

მრავალი ფაქტი მოწმობს ამერიკელ მონოპოლისტთა შეღწევას ინდონეზიაში. გაზეთი „დე ვაარჰეიდი“ იუწყებოდა, რომ შარშან ინდონეზიაში მოპოვებული კაუჩუკის, კალისა და ტყვიის დიდი ნაწილი ამერიკულ კომპანიებს ჩაუვარდათ ხელში. ამას წინათ ამერიკელებმა მოახდინეს ინდონეზიის კუნძულების აეროფოტოგადაღება ახალი სასარგებლო წიაღისეულის ძიების მიზნით, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში თავიანთი სამხედრო-სტრატეგიული გეგმების განხორციელების მიზნით.

თავიანთი ანგარებითი გეგმების განსახორციელებლად ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან იკისრონ „დამამშვიდებლისა“ და „არბიტრის“ როლი ინდონეზიის საქმეებში. ამერიკელები ხალისით თანხმდებიან ჰოლანდიელების მიერ გათვალისწინებული ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირის შექმნაზე. ამაში ძნელი არ არის დაინახოთ იმის ვარაუდი, რომ ასეთი ხელოვნურად შექმნილი კავშირი ჰოლანდიელებსა და ინდონეზიელ მოსახლეობას შორის, აგრეთვე ცალკე ფეოდალ მთავრებს შორის გაუწყვეტელი კონფლიქტების ასპარეზი გახდება. ასეთი ვითარება „არბიტრისათვის“ ყველაზე ხელსაყრელია ინდონეზიაში შემდგომ შესაღწევად.

საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სსრ დელეგაციები ორწლიოწადნახევრის მანძილზე აქტიურად იცავენ ინდონეზიელი ხალხის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. საბჭოთა დელეგაციები ხელმძღვანელობენ ერების თვითგამორკვევის მაღალი პრინციპებით და აყენებენ საკითხის ისეთ გადაჭრას, რომელიც ბოლოს მოუღებდა ამ შეიარაღებულ კონფლიქტს და უზრუნველყოფდა ინდონეზიელი ხალხის თავისუფალ განვითარებას დამოუკიდებელი რესპუბლიკის ფარგლებში. საბჭოთა დელეგატების გამოსვლებს ინდონეზიელი ხალხის დასაცავად უდიდესი სიმპათიით შეხვდნენ მთელ მსოფლიოში.

ინდონეზიელი ხალხი, რომელიც თავისი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კოლონიური ხალხების პირველ რიგებში დგას, ვერასოდეს ვერ შეურიგდება უცხოეთის უღელს.

ა. შატილოვი

დუნაის კონფერენციაზე

დუნაის ნაოსნობის რეჟიმის შესახებ კონვენციის საბჭოთა პროექტის გამო გამართული საერთო დისკუსიის დამთავრება

ბელგრადი, 6 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დუნაის კონფერენციაზე თავმჯდომარეობდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი. კონფერენციამ დაამთავრა საერთო დისკუსია დუნაის ნაოსნობის რეჟიმის შესახებ კონვენციის საბჭოთა პროექტის გამო.

პირველმა ილაპარაკა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანა პაუკერმა, რომელმაც განაცხადა, რომ დუნაიზე ნაოსნობის ახალი [illegible]

[illegible]

უპასუხა რა ამერიკის დელეგატს, რომელმაც სცადა დაესაბუთებინა ამერიკის შეერთებული შტატების პრეტენზია დუნაის მართვაში მონაწილეობაზე „მილიონობით დოლარის არგუმენტებით", რასაც მარშალის გეგმა ითვალისწინებს, ა. პაუკერმა სთქვა:

— ჩვენ ვიცით, რა ხდება საბერძნეთსა და ჩინეთში, სადაც სავსებით იყენებენ ამ „არგუმენტებს", და რა ხდება იტალიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში, სადაც იგივე „არგუმენტები" მოქმედებენ. ჩვენ არა გვსურს და არც ნებას დავრთავთ, რომ დოლარის პოლიტიკამ ჩვენც ასეთსავე მდგომარეობამდე მიგვიყვანოს. დასასრულ ა. პაუკერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის დელეგაციის პროექტი უზრუნველყოფს და გარანტიას აძლევს დუნაიზე თავისუფალი ნაოსნობის პრინციპს ამ ნაოსნობით დაინტერესებული ყველა ქვეყნისათვის. ითვალისწინებს რა ამას, რუმინეთის დელეგაცია მხარს უჭერს ამ პროექტს.

შემდეგ გამოვიდა ბრიტანეთის დელეგატი ჩარლზ პიკი, რომელმაც იმით დაიწყო, რომ [illegible]

საქმეთა მინისტრს [illegible] სავსებით მიიჩნია ამ კონფერენციის უფლება გადასწყვიტოს ის საკითხი, რომ მან ახალი კონვენცია უნდა გამოიმუშაოს, როგორც ეს დავალებული აქვს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ, თუ ...დაადასტუროს 1921 წლის აღარ არსებული კონვენცია, როგორც ეს დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენელთ სურთ.

პიკმა, რომელსაც აშკარად სურს გააჭიანუ- [illegible]

[illegible]

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ამომწურავი ანალიზი გაუკეთა იმ საბუთებს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის დელეგატებმა მოიყვანეს დუნაიზე ნაოსნობის არათანასწორუფლებიანი რეჟიმის აღდგენის თავიანთი პრეტენზიების დასაცავად, და ცხადჰყო მათი სრული უსაფუძვლობა.

ვიშინსკი შეეხო ბრიტანეთის დელეგაციის წინადადებას საერთაშორისო სასამართლოში ან სპეციალურ „მიუდგომელ ტრიბუნალში" იმ საკითხის გადაცემის შესახებ, რომ 1921 წლის კონვენცია მიჩნეულ უნდა იქნას კანონიერი ძალის მქონე კონვენციად თუ არა, და აღნიშნა, რომ ამ საკითხის დაყენება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და რომ ამ საკითხს პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ამ კონფერენციის მუშაობასთან, რომლის რწმუნებანიც საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ, როცა მას ახალი კონვენციის მომზადება დაავალა.

საქართველოს სსრ ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის წარმატება კოპენჰაგენში

კოპენჰაგენი, 7 აგვისტო. (საკდესი) 5 აგვისტოს კოპენჰაგენში შედგა საქართველოს სსრ ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის პირველი გამოსვლა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით. საზაფხულო თეატრი „ბელახოი", რომელიც 4 ათას კაცს იტევს, სავსე იყო. მაყურებელთა შორის იყვნენ დანიელი მწერლები, პით შორის [illegible]

[illegible]

რეცენზიაში.— რა შესანიშნავი ნიჭია, რა დიდებული აღტაცება, და რიტმის უმაღლესი გრძნობაა".

გაზეთი „კაპენხოვნი" სწერს: „ეს იყო ტრიუმფი ქართველი მსახიობებისათვის და დაუვიწყარი განცდები დანიელ მაყურებელთათვის".

იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელი კომიტეტის სესიაზე

რომი, 6 აგვისტო. (საკდესი). იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელი კომიტეტის სესიაზე დი ვიტორიოს მოხსენების გამო გამართულ დისკუსიაში სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლებმა დაჰგმეს კათოლიკე ლიდერების გამთიშველი მოქმედება, რასაც ისინი ვატიკანის კარნახით ეწევიან, და დაადასტურეს იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციაში მშრომელთა ერთიანობის დაცვის საჭიროება. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი ენრიკო პარი [illegible]

[illegible]

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ყრილობაზე

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. (საკდესი). ყრილობის სამდივნოს განცხადებით, რომელიც პრესას გადაეცა, ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნულმა ყრილობამ მუშაობის მესამე დღეს განიხილა რეზოლუციები და საპროგრამო განცხადება, აგრეთვე მოისმინა კომპარტიის მდივნის პროფკავშირთა საკითხების დარგში ჯონ ვილიამსონის მოხსენება.

ყრილობამ აგრეთვე განიხილა და ერთსულოვნად [illegible]

[illegible]

თვის, რომლებსაც ისინი სამართლიანად სთვლიან, და არ შეეშინდეთ მონოპოლიების მფლობელთა და მათი აგენტების მუქარისა".

ყრილობის სამდივნომ პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა აგრეთვე კომპარტიის მდივნის დენისის განცხადება, რომელიც ჰგმობს ტრუმენის განცხადებას ახლანდელი „შპიონომანიის", როგორც წინასაარჩევნო მანევრის გამო. დენისის განცხადება, რომელიც ჰგმობს ტრუმენის დაგვიანებული აღმოჩენა, რომ ახლანდელი შპიონომანია წარმოადგენს „წითელ..." [illegible]

[illegible]

ბერლინის დასავლეთ სექტორებში შექმნილი მდგომარეობის გამო

ბერლინი, 6 აგვისტო. (საკდესი). ბერლინის მაგისტრატის შრომის განყოფილების ოფიციალური ცნობებით, უმუშევართა რიცხვი ბერლინის დასავლეთ სექტორებში ყოველდღიურად დიდდება 1.200 კაცით. ამჟამად ამ სექტორებში საწარმოებიდან უკვე დათხოვნილია 120 ათასამდე მუშა და მოსამსახურე. დასავლეთი სექტორების საწარმოებს ფული არ მოეპოვებათ, რათა გაისტუმრონ იმ მუშების ხელფასი, რომლებიც ჯერ არ დაუთხოვნიათ. ქალაქის თვითმმართველობის ორგანოებს აგრეთვე არა აქვთ სახსრები თავიანთ საფინანსო ვალდებულებათა შესასრულებლად. ასეთია ბერლინის დასავლეთ სექტორებში „ბ" მარკის შემოღების შედეგები.

ამას წინათ გერმანიის ეკონომიურმა კომისიამ და გერმანიის საემისიო ბანკმა ბერლინის მაგისტრატს პრაქტიკული წინადადებანი მისცეს დასავლეთ სექტორებში ქაოსის დასაძლევად. მაგრამ მაგისტრატის სოციალ-დემოკრატიულმა უმეტესობამ უარჰყო ეს წინადადებანი. გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი" მაგისტრატს ბრალად სდებს, რომ მან „წინასწარი განზრახვით გამოიწვია კრიზისი და ცდილობს განზრახ გაამწვავოს ეს კრიზისი, საბოტაჟს უცხადებს რა ყველა ღონისძიებას, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველჰყონ შექმნილი მდგომარეობისათვის თავის დაღწევა. ეს მაგისტრატი უნდა გადადგეს და გაათავისუფლოს გზა დიდი ბერლინის საფინანსო და სამეურნეო ცხოვრების გასაჯანსაღებლად".

ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად გერმანიის საემისიო ბანკმა ნება დართო მაგისტრატს 5 აგვისტოდან 25 მილიონი მარკა გაიტანოს თავისი ანგარიშიდან ხელფასისა და პენსიის გადასახდელად.

ინგლისის ადმინისტრაციის საფინანსო განყოფილების უფროსის მოადგილემ ჩარლზ ჯიფარდმა პრესის წარმომადგენელთათვის გაკეთებულ განცხადებაში კმაყოფილებით აღნიშნა, რომ „გერმანიის საემისიო ბანკის თავაზიანობა შესაძლებელს ხდის, რომ ბერლინის დასავლეთ სექტორებში არ დაირღვეს შემდგომი სამეურნეო ცხოვრება".

დასავლეთი სექტორების ფირმებსაც შესაძლებლობა მიეცათ გამოიტანონ ფული საემისიო ბანკის თავიანთი ანგარიშებიდან, თუ ეს ფირმები ვალდებულებას იკისრებენ მთელი თავიანთი საფინანსო საქმეები გერმანიის საემისიო ბანკის მარკებით აწარმოონ.

პელეკრესის სააგენტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა შესახებ პალესტინაში

პრაღა, 6 აგვისტო. (საკდესი). ტელეპრესის სააგენტოს ცნობით, იერუსალიმის ოტელის „დავით მეფის" ყველაზე შესანიშნავი მუდმივი სტუმრებია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლის პალესტინაში ბერნადოტის სამასი მეთვალყურე. ბერნადოტის მიზეზით, აღნიშნავს სააგენტო, ყოვნდება მშვიდობის დამყარება პალესტინაში და მზადდება ნიადაგი რომ პირველ შესაფერ მომენტში დამყარდეს ინგლის-ამერიკის ბატონობა.

ამერიკელი, ბელგიელი და ფრანგი მეთვალყურეების შენახვა, აცხადებს სააგენტო, მეტად ძვირად უჯდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ბერნადოტს ყოველწლიურად უხდიან 6 ათასზე მეტ გირვანქა სტერლინგს. თვითეული მეთვალყურე წელიწადში 460 გირვანქას იღებს და, გარდა ამისა, მათ დღიურად ეძლევათ ოთხი გირვანქა იმ „რისკისათვის", რომელთანაც თითქოს დაკავშირებულია მათი სამსახური (ე. ი. კიდევ 1.460 გირვანქა წელიწადში).

მეთვალყურეთა განკარგულებაშია 160 სატვირთო მანქანა, 30 ავტომობილი, რამდენიმე ათეული მსუბუქი თვითმფრინავი და ორი ჰელიკოპტერი.

პელეკრესის სააგენტო ლუდვიგსჰაფენში მომხდარი აფეთქების მიზეზთა შესახებ

[illegible]

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს სხდომაზე

პარიზი, 7 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „ლიუმანიტე" გადმოგვცემს, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს თავის სხდომაზე, რომელიც ლეონ მოვის თავმჯდომარეობით შედგა, მოისმინა [illegible] ბიიეს მოხსენება საერთაშორისო და [illegible] მდგომარეობის შესახებ.

პოლიტბიურომ კომუნისტებსა და [illegible]

[illegible]

ლებანი ეწინააღმდეგებიან მშრომელთა [illegible] ბისა და მთელი საფრანგეთის ინტ[ერესებს] [illegible] მთავრობის ჩამოყალიბებამ უკვე [illegible] მთელი საზოგადოებრივი აზრის პრ[ოტესტი] [illegible] განსაკუთრებულ რწმუნებათა უკანონო [illegible] ხოვნას, შეუძლია მხოლოდ გააძლიერ[ოს] პროტესტი — ერთადერთი საშუალება, [illegible] შულ იქნას სიღარიბისა და განადგურები[ს] [illegible] მები, რომლებსაც მარი-ბლუმ-რეინოს [illegible] ბა სახავს".

პოლიტბიურო, — ნათქვამია შემდ[ეგ] [illegible] პიროდ მიიჩნია დაადასტუროს მხარ[დაჭერა] [illegible] რასაც საფრანგეთის კომპარტია მშრო[მელებს] უწევს მათ ბრძოლაში კანონიერ მოთხ[ოვნათა] დაკმაყოფილებისათვის. შრომის საყო[ველთაო] კონფედერაციის წარმომადგენლებმა [illegible] ხოვნები მოგვაგონეს მინისტრთა საბჭოს [illegible] მომადგენლებთან ამასწინანდელ საუბარ[ში] [illegible] არსებო მინიმუმი 12.900 ფრანკის რა[ოდენო]ბით, ფასების შემცირება და სხვ.

პოლიტბიურო მიესალმება დიდ [illegible] ინიციატივით დაწყებულ ბრძოლას 350 საუკეთესო ხარისხის პურის ნორმისათვ[ის] ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა [illegible] თოვდეს ეს მასობრივი მოქმედება [illegible] რანგეთში, რათა მთავრობა ვაიძულ[ოს] [illegible] მაყოფილოს სრულიად დასაბუთებული [მოთ]ხოვნები.

პოლიტბიურო აღნიშნავს ქიულ [illegible] წარმოდგენილი მთავრობის პროექტის [illegible] ჰდეგ მიმართულ მოქმედებას. ამ პროექტ[ით] [illegible] ზანია რესპუბლიკის მომავალი საბჭო [illegible] ყოს ახალ სენატად და იგი დე გოლ[ის] [illegible] ვეს. პოლიტბიურო მოუწოდებს ყველა [illegible] რატსა და რესპუბლიკელს გაერთიან[დნენ] [illegible] გააძლიერონ თავისი მოქმედება. რათა [illegible] მარცხონ ხალხის სუვერენიტეტის მტრები [illegible]

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

სტოკჰოლმი, 6 აგვისტო. (საკდესი). [illegible] შინ შესდგა საერთაშორისო საჭადრაკო [ტურ]ნირის მორიგი, მე-15 ტური. ბონდარ[ევსკიმ] მოუგო პახმანს, რაგოზინმა წააგო ტარტა[კოვერ]თან. საბო-ბოლესლავსკის, ბეკ-ბრონშ[ტეინის], ფლორ-ტრიფუნოვიჩის, ლილიენტალ-[შტალ]ბერგის, შტოლც-შტეინერის პარტიები [ფრედ] დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდ[ო].

7 აგვისტოს გადადებული პარტიების თავრების დღეა.

საკდესის გასწორება

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. [ვი]შინსკის სიტყვაში დუნაის კონფერენ[ციაზე] ბელგრადში 3 აგვისტოს დაშვებულია შ[ეცდო]მა. მესამე კარის ქვესათაური უნდა იკ[ითხე]ბოდეს ასე:

ზოგიერთი იურიდიული საკითხი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

[illegible]

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმის კანცელარიაში დილის 11 საათიდან საღამოს 5½ საათამდე.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, მარის ქ. № 42. ტელეფონი № 3-71-08.

[illegible] მცხოვრებ მოქალაქე აგრაფინა სოლომონის ასულ ცხოვრებოვასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

[illegible] ნინო იაკობის ასულ გრიგორიან-ბარსეგიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

[illegible] 10-VIII.

მშობლები ლილი, ხარიტონ მანჯგალაძეები იუწყებიან თემურის გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-VIII სოფ. ლანჩხუთში.

[illegible] ტონის-ძე ბუცხრიკიძის გარდაცვალებას.

ორჯონიკიძის რაიონის თანამშრომლ[ები] იუწყებიან დავით გიორგის-ძე აკოფაშვილ[ის] გარდაცვალებას.

შვილი მარო, სიძე დავით ცაგარეიშვილი [და] ლებით თამაზით და ციალათი იუწყე[ბიან] თეოლინე კიკნაძის გარდაცვალებას. დ[აკრ]ძალვა 10-VIII ხარაგოულში.

და ანა მეუღლით ზაქარია ნაცვლიშვი[ლი] და შვილებით სანდროთი და თეიმურა[ზით] იუწყება სოფიო სოლომონის ასულ მაის[ურა]ძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-VIII, [illegible]

[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის —3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლ.-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24. მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 11..